ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკევობით

№ 15 (71)

17 აპრილი, პარასკევი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ მართლაც ბნელა?

ნოდარ ნათაძე

ერავალ მკრეხელობას საქართველოს ეროვნული ღირსების მიმართ, რაც ჩვენს რამდენსამე თაობას ახსოვს, ერთი ახალიც დაემატა, მრავალნი ფიქრობენ, რომ 9 აპრილი საქართველოსთვის მხოლოდ გლოვის დღეა, — რომ, მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს მხოლოდ თამაში, მხოლოდ თავის დამშვიდება, მხოლოდ არაკვალიფიციური თავის გართობა და ადამიანების მიერ იურიდიულად გაუმართავი დეკლარაციის ხელმოწერა იყო. საფუძველი? საფუძველი მხოლოდ შემდეგია: პირველი. ამის შემდეგაც საქართველოში იმპერიის ჯარი დარჩა; მეორე. საქართველოს შვილს ჯიბეში კვლავ სსრკ-ს წითელი პასპორტი უდევს; მესამე: საქართველოს ხელისუფლება კვლავ ვერ აკონტროლებს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიას; მეოთხე: როცა დამოუკიდებლობას ვაცხადებდით, ჩვენ უგულებელვყავით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც არავის გაუუქმებია კანონიერი გზით, და ჩვენი თავისუფლების აქტი ოდნავ ფერუმარილწასმული საბჭოეთის დროინდელი კონსტიტუციის მიხედვით მივიღეთ. ეს უველაფერი მართალი გახლავთ. მაგრამ არც რომელიმე ეს არგუმენტი ცალკე, არც უველა ერთად არ კმარა, რათა უარყოთ იმ დიადი ნაბიჯის ლეგიტიმურობა, რომელიც საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს გადადგა. იმისათვის, რომ გცნონ, „დიაღ, ხართო“, ქვეყანამ ჯერ თვითონ უნდა თქვას, „ვარ!“ და ჩვენ ეს ვთქვით კიდეც იმ დღეს; იმისათვის, რომ ერს თავისი ნების გამოხატვის ადექვატური და სრულყოფილი ფორმა ჰქონდეს ხელთ, საკმარისია, რომ მას საყოველთაო თანასწორი არჩევნებით შექმნილი ხელისუფლება ჰყავდეს (განურჩევლივ იმისა, ვისი კანონით იქნება ჩატარებული ეს არჩევნები, ოღონდ მათი ჩატარება მართლაც საყოველთაოდ და თავისუფლად მოხდეს); საქართველოს მოქალაქეობის არსებობა შედეგი გახლავთ (და შედეგი იქნება) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და არა პირუკუ; რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების მიერ თავისი კონტროლის ვერ განხორციელებას თავისივე ტერიტორიის ერთ ნაწილზე, მაშინაც და დღესაც, ეს ჩვენი დამოუკიდებლობის კანონიერებას კითხვის ქვეშ ვერ დააყენებს, რადგან ქვეყანას დამოუკიდებლობის უფლება მაშინაც აქვს, როცა იგი თავისზე შეუდარებლად უფრო დიდი და ძლიერი მტრის აგრესიის საგანია და ამასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ ომშია ჩაბმული. იმ ყოვლად სასაცილო არგუმენტზე აღარ ვჩერდები, რომელიც ამ ორი დღის წინ ერთი პოლიტოლოგისგან მოვისმინე ტელეეკრანიდან: დამოუკიდებლობის აქტი ბათილია, რადგან მას ერთი ისეთი ხელმოწერაც აქვს, რომელიც არ უნდა ჰქონდეს! (სინამდვილეში დოკუმენტი ბათილი გახლავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი საჭირო ხელმოწერა აკლია).

ამიტომ (მაპატიეთ ვულგარული გამოთქმა) იმ ბატონებსა და ქალბატონებს, ვინც ზემორე მოყვანილ გულუბრყვილო თეზისებს თავისი პოზიციის გამოხატულებად თვლის, კითხვით უნდა მივმართო: ბნელა ამ ნათელ ქვეყანაში, ფაქტების დანახვა რომ არ გსურთ, შავს რომ თეთრად სახავთ და თეთრს შავად მხოლოდ იმ მიზნით, რომ მრავალ საქმეში ხელმოცარული 1990 წელს არჩეული პარლამენტის მუშაობა ერთ მთლიან მარცხად ჩავთვალოთ? არა, ბატონებო, საქმე ასე არ გახლავთ, თქვენ რომ ფიქრობთ. საქართველოს პარლამენტის მუშაობა 1990 წლის ნოემბრიდან დღემდე მხოლოდ მარცხი არ გახლავთ. მასში გამარჯვებებიც ურევია და ერთი მათგანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა სამარადისო აქტია, რომელსაც ვეღარავინ გააუქმებს და ვეღარავინ შეაქცევს (თუკი ვივარგებთ) და რომელიც არასოდეს აღარ ამოიკვეთება საქართველოს ისტორიიდან. ეს აქტი სრულად და ადექვატურად, იურიდიული ფორმის სრულყოფილი დაცვით გამოხატავს ქართველი ერის ნებას. ის, რომ პარლამენტი არ იყო სრულყოფილი თავისი შემადგენლობით, ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობს. პარლამენტი მაინც ლეგიტიმურია და მაინც ხალხის ნების გამომხატველია. იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ის პრინციპი გახლავთ, რომლის აღიარების გამოც ხალხმა აირჩია პარლამენის ეს შემადგენლობა, და რომლის განხორციელებაც მას ამ არჩევით დაავალა.

დღეს არსებული პარლამენტი, მისი დღევანდელი როლი და პერსპექტივა ცალკე თემაა, რომელსაც აქ არ ვეხები. მინდა ვისურვო, რომ საქართველოს ყოველმა ახალმა პარლამენტმა შეძლოს არანაკლებ წონადი საკუთარი სიტყვის თქმა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და აღმავლობის ისტორიაში, ვიდრე 1991 წლის 9 აპრილის აქტია.

მსოფლიოს ქვეყნების პრეზიდენტებს და მთავრობებს

საქართველოს თვითმარქვია კრიმინალური „მთავრობის“ მეთაური ედუარდ შევარდნაძე ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო. თითქოს მან შექმნა ხელისუფლების კანონიერი ორგანო, ე.წ. სახელმწიფო საბჭო. სინამდვილეში იგი სხვა არაფერია, თუ არა სახელშეცვლილი ხუნტა, რომელშიც შევიდა ყველა წევრი ე.წ. სამხედრო საბჭოსი. საქართველოს კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის სახელით გთხოვთ, ნუ სცნობთ შევარდნაძის რეჟიმს და ნუ დაამყარებთ მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას, სანამ საქართველოში არ აღდგება კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლება.

პატივისცემით
ზვიად გამსახურდია
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

1992 წლის 17 მარტი

რედაქციისაგან: ბატონი ექსპრეზიდენტისაგან განსხვავებით, ჩვენ არ მივმართავთ მსოფლიოს პრეზიდენტებსა და მთავრობებს რჩევა-დარიგებებით-მათ თავისი საქმე უკეთ იციან. უბრალოდ გვინდა, ჩვენი გულისტკივილი ჩვენივე ხალხს-ქართველ ერს-გავუზიაროთ: უველას ახსოვს, ალბათ, როგორ იძახდა გამუდმებით ბატონი ზვიადი, „შევარდნაძემ ჩემს სიძულვილს საქართველო გადაყოლოო.“ ზემოთ გქონდათ საშუალება, დაგენახათ, თუ რისთვის იღწვის თავად ექსპრეზიდენტი დღეს — ყველანაირად ცდილობს, რათა შეუშალოს ხელი საქართველოს საერთაშორისო აღიარებას, მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებში მის ჩართვასა და მდგომარეობის საბოლოო სტაბილიზაციას. არადა, ხომ აშკარად ვხედავთ უველანი, რომ ცხოვრება თანდათანობით თავის ჩვეულ კალაპოტში დგება, ქალი ქალს ემსგავსება, კაცი-კაცს, ქვეყანა-ქვეყანას და პოლიტიკა-პოლიტიკას.

ჩვენ ვეკითხებით უველას, საქართველოს ყოველ სინდისიან მოქალაქეს: სხვა რა შეიძლება ეწოდოს დღეს ექსპრეზიდენტის ზემოთმოყვანილ მიმართვას თუ არა მშადყოფნა, ერთი კაცისადმი პიროვნულ ზიზღს გადააყოლოს მთელი საქართველო.?

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს აჭარის უზენაეს საბჭოს

აჭარაში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების

განცხადება

1992 წლის 9 აპრილს, 9 საათსა და 15 წუთზე ხელვაჩაურის რაიონის ყოფილ პრეფექტურის შენობასთან მოქალაქეთა შეიარაღებულმა ჯგუფმა გაიტაცა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, საქართველოს სახალხო ფრონტის ხელვაჩაურის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარაში მოქმედი პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ბატონი ავთანდილ ბერიძე.

გამტაცებლებმა ის მიიყვანეს მდინარე ჭოროხის პირას, სადაც სასტიკად სცემეს. მოტივად მოიყვანეს ასლან აბაშიძის მიერ აჭარაში გატარებული პოლიტიკის კრიტიკა და ამასთან დაკავშირებით გაზეთ „მაჭახელაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

აღუთქვეს, თუ ხელს აიღებს აჭარის ხელისუფლების კრიტიკაზე, შეწყვეტს გაზეთ „მაჭახელას“ გამოცემას, შეუნარჩუნებენ სიცოცხლეს და შესთავაზებენ მისთვის სასურველ თანამდებობას.

უარის თქმის შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფისა და იარაღის მუქარით აიძულეს დაეწერა მათთვის სასურველი ხელწერილი. ამის შემდეგ გამოიყვანეს და დატოვეს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან.

ქვემოთ ხელისმომწერნი პოლიტიკური ორგანიზაციები მომხდარ ფაქტს ვაძლევთ აჭარის ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული პოლიტიკური ტერორის კვალიფიკაციას და მივიჩნევთ ბათუმში მომხდარი ცნობილი ტერორისტული აქტების ლოგიკურ, გამძაფრებულ გაგრძელებად.

ზემო თქმულიდან გამომდინარე ვაცხადებთ კატეგორიულ პროტესტს.

დემოკრატიული ბრძოლის ცივილიზებული ფორმების უგულებელყოფისათვის, ასევე ტერორის გაგრძელების შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ მივმართოთ მძაფრ საპროტესტო აქციებს.

ხელვაჩაურის
სახალხო ფრონტის სახელით
გ.დუმბაძე
რესპუბლიკური პარტიის სახელით
თ.ყურაშვილი
ბათუმის
სახალხო ფრონტის სახელით
ს.კვაჭაძე
ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის სახელით
მ.კოკლატაძე
ეროვნული დამოუკიდებლობის
პარტიის სახელით
ვ.კენჭაძე

10 აპრილი, 1992 წელი

რედაქციისაგან:

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ამა წლის 14 აპრილს 14 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ახალი კონსტიტუციის მიღებისას 1978 წლის 14 აპრილს მთელი ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი აღსდგა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად.

გთავაზობთ ბ-ნ ე. შევარდნაძის მოგონებათა ერთ ეპიზოდს, რომელიც მან თავის მოგონებათა წიგნში „ჩემი არჩევანი" შეიტანა.

აგრეთვე გარკვეული მოსაზრებით ვბეჭდავთ 1978 წლის 11 აპრილს გამართულ საქართველოს მწერალთა ღია კრებაზე მხოლოდ რამდენიმე მწერლის მიერ წარმოთქმული სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს.

მისი აპრილის არჩევანი

„ბანა რისკი ისაა, როდესაც თქვენს სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე?"

„რისკი მაშინაა — როდესაც სრულებით არაფერს რისკავთ. ლაჩრულად რომ დაემალებით საშიშროებას, სწორედ მაშინ შეიძლება დაკარგოთ ყველაფერი: ნდობა, პატივისცემა, ხალხის მხარდაჭერა და ლიდერობის უფლება. როგორც ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა თქვა, ხალხს არა უბრალოდ ბრძენი, არამედ გაბედული ადამიანები უნდა ხელმძღვანელობდნენო.

რასაკვირველია არანორმალურია, როდესაც ხელმძღვანელს გამუდმებით უხდება თავისი გამბედაობის გამოცდა. ნორმა—ეს არის წყნარი მუშაობა წყნარ ვითარებაში. მაგრამ თუკი სიმშვიდე არ არის, თუკი ბობოქრობენ ვნებათაღელვანი — საჭიროა ხალხთან გასვლა და დალაპარაკება.

მე ამისთვის თავი არასოდეს ამირიდებია, როგორც არ ამირიდებია საკუთარი შეცდომების აღიარებისთვის.

განა შემიძლია დავივიწყო, როგორ დრამატულ სიტუაციაში მიმდინარეობდა უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1978 წლის აპრილში საქართველოს კონსტიტუციის მიღება? რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ითხოვდა მასში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ მუხლის შენარჩუნებას. ეს ნორმა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს პირველ ძირითად კანონში იყო, რომელიც ლენინის დროს მიიღეს. დარჩა იგი 1938 წლის კონსტიტუციაშიც, მაგრამ ახალ პროექტში უკვე აღარ იქნა ჩართული — მოსკოველი „სახელმწიფოთმცოდნეების" მოთხოვნით: „მუხლი ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს".

მე ამის შესახებ ვუამბე ბრეჟნევს და ჩემი შეშფოთება გამოვთქვი. მან მირჩია დავლაპარაკებოდი სუსლოვსა და ჩერნენკოს, „მაგრამ თუ განსაკუთრებულად გაგიჭირდება — შემატყობინეო".

არ იყო ადვილი მათი დარწმუნება სახელმწიფო ენის შესახებ მუხლის გაუქმების უგუნურებაში. ჩემში ძველებურად სახლობდა „1956 წლის კომპლექსი". ცნობილი იყო, რომ მშობლიური ენის დასაცავად მზადდებოდა ძლიერი სტუდენტური დემონსტრაცია. მე მესმოდა, რა შეიძლებოდა მოეტანა ამას. სესიის დღეს, მის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, გამთენიისას, შედგა სატელეფონო საუბარი მ.ა.სუსლოვთან. მე ვთხოვდი მოეხსენებინათ ბრეჟნევისთვის, გავახსენე 1956 წელი, ვცდილობდი დამერწმუნებინა და ბოლოს ვუთხარი, რომ ვიმოქმედებდი საკუთარი ნების მიხედვით.

რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ „მანევრსა" და „მოსკოვთან თამაშზე". ჩვენ თავიდან ავიცილეთ დიდი უბედურება და კონსტიტუცია ხალხის ნების მიხედვით მივიღეთ — აი, ეს არის ჩემთვის მთავარი. მე დიდად ვაფასებ იმ მხარდაჭერას, რომელიც იმ რთულ დღეებში გამიწიეს გ.ვ. კოლბინმა და რიგმა ამხანაგებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან.

დიახ, მე მიწევდა რისკის გაწევა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რისი გულისთვისაც ვაკეთებდი ამას.

განა რისკი ისაა, როდესაც თქვენს სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე?"

თუ ამ პროექტს მივიღებთ, საფუძველი ჩაეყრება ქართველების გარუსებას

აკაკი ბაქრაძე

ამ შეეცდები, რაც შეიძლება მოკლედ ვილაპარაკო, იმიტომ, რომ დოკუმენტი, რომელსაც დღეს ვიხილავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც მომავალში განაპირობებს ქართველი ხალხის ბედს. ვიმეორებ, დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ დღეს ვიხილავთ, გახლავთ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რადგან იგი მომავალში განაპირობებს ქართველი ხალხის ბედს. ამიტომ ყველა მოქალაქის ვალია, ძალიან მკაფიოდ, და მკვეთრად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ამ დოკუმენტისადმი, რომელიც დღეს საერთოდ რესპუბლიკის და მწერალთა კავშირის განხილვის საგანია.

ჩემი დასკვნა ამ დოკუმენტის მიმართ ასეთია: თუ ეს პროექტი მიღებული იქნება ამ სახით, რა სახითაც ის არის წარმოდგენილი, ამით კონსტიტუციური საფუძველი ეყრება ქართველი ხალხის გარუსების საქმეს. რატომ? იმიტომ, რომ სამი უმთავრესი პუნქტი გახლავთ ამ კონსტიტუციაში საამისო.

აქ ბევრი გამოთქვამდა აზრს, რომ ეს შემთხვევითია, ზოგი ამბობდა, რომ გაუგებრობაა, სტილისტური შეცდომაა და ა.შ.

კონსტიტუციის პროექტი არ არის ის დოკუმენტი, სადაც ვინმე გაუგებრობას ან შეცდომას უშვებს. ამ კონსტიტუციას ადგენდა ხალხი, რომელმაც შესანიშნავად იცის მისი ფასი. ამიტომ იქ არაფერი შეცდომა არ არის. ის მკაფიოდ, გამიზნულად დაწერილია და წარმოდგენილი და, როდესაც იმ კონსტიტუციაში წერია: „... საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას", — ეს არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ ქართველი ერი გაუქმებულია და საქართველო მხოლოდ ადგილია.

საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს და ქართველი ხალხი უნდა აცხადებდეს იმ კონსტიტუციას. ამიტომ, როდესაც იქ სწერია, „საქართველოს ხალხი" ნაცვლად „ქართველი ხალხისა", ეს უკვე ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს, როგორც ერს, ხაზი გადაესვა.

მეორე, საქართველოს მთავრობას აქვს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნის უფლება, მაგრამ არაფერი სწერია გაუქმებაზე. ჩვენ არ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი გავაუქმოთ, მაგრამ სიხარულით გვაძლევენ უფლებას კიდევ შევქმნათ სხვა ავტონომიური ოლქი თუ რესპუბლიკა და კიდევ უფრო დაჭუცმაცდეს ჩვენი ქვეყანა.

მესამე — ის ყბადაღებული 75-ე მუხლი, რომლის შესახებ ამდენი ლაპარაკია.

სამი ეს დებულება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ კონსტიტუციურად საფუძველი უნდა ჩაეყაროს ჩვენი გარუსების საქმეს.

რაც შეეხება „სახელმწიფო ენას" და ჩვენს გარუსებას, არ არის სხვა ტერმინი, გარდა „სახელმწიფო ენისა", რომელიც ობიექტურად, მკვეთრად განსაზღვრავს ამა თუ იმ ენის მდგომარეობას ამა თუ იმ სახელმწიფოში, და თუ ამ ტერმინს ებრძვიან, ებრძვიან იმისათვის, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

როდესაც აქ თავს იმართლებენ იმით, რომ რუსული ენა არ არის მოხსენებული სახელმწიფოებრივ ენად, ეს სულ სხვა მდგომარეობაა. რუსულ ენას არავინ არ ემუქრება, მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლია ისეთ დიდ ერებსაც როგორნიც ფრანგები და ინგლისელები არიან. ის აღიარებულია საერთაშორისო ერების სამუშაო ენად, და რა თქმა უნდა, რჩება სახელმწიფო ენად. მაგრამ ისეთ პატარა ენას, უფრო სწორედ — რიცხობრივად პატარა ერის ენას, როგორც ქართულია, უდიდესი საფრთხე ემუქრება, როდესაც კონსტიტუციურად ჩვენი ენა ჩვენსავე სახელმწიფოში უფლებამოსილი არ არის, მაშინ, როდესაც ქართულ ენას მსოფლიოს არც ერთ კუთხეში მონათესავე არა ჰყავს, დარჩა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა და აქაც კი წართმეული გვაქვს უფლება მისი სახელმწიფო ენად გამოცხადებისა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ან არის სახელმწიფო ენა, ან პატუას ენა (შინაური, შინ სახმარი ენა). ახალი კონსტიტუცია ქართულ ენას პატუა-ენის უფლებას უტოვებს.

აქვს თუ არა რომელიმე ქართველს უფლება, რა თანამდებობის, რა მდგომარობის, რა შეგნებისაც არ უნდა იყოს, მხარი დაუჭიროს ამ კონსტიტუციას? მე არ გეუბნებით ამ კონსტიტუციაზე. ნუ ვიდავებთ იმ ცალკეულ სიტყვებზე, და სტილზე, იმიტომ, რომ ვინც ეს კონსტიტუცია შეადგინეს, მათ შესანიშნავად იციან ის დიპლომატიური ხერხები. ამიტომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ პირდაპირ, აშკარა და გულწრფელად და გამოვაცხადოთ — ქართველი ხალხი არ მოტყუვდება, არ მიიღებს კონსტიტუციას მორალური თვალსაზრისით და მორალური უფლებით, რომელიც ყველა ჩვენგანს აქვს, არ მისცემს ხმას (ტაში), რადგან სტილისტიკური ცვლილებანი, ტექსტოლოგიური ცვლილებანი, ნაირ-ნაირი ვარიანტები საქმეს არ შველის, ამით არ იცვლება არსი, შესაძლოა სტილისტიკურმა დახვეწამ უფრო კარგად გამოკვეთოს და მოგვაწოდოს ის აზრი.

ამიტომ, ჩვენ დღეს აქ ძალიან პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ. აქ მურმან ლებანიძემ შესანიშნავად თქვა, რომ ზოგჯერ ჩვენ ზოგიერთი დოკუმენტის მიღებისას ვიჩენთ ზერელობას და აი, მერე სად გვხვდება ის. როცა ხალხთა დაახლოებაზე იყო ლაპრაკი დოკუმენტში, აი, საით მიყავდა ამას საქმე. ეს ყველაფერი კარგად ვიცით და თვალს ვხუჭავთ და გვინდა დიპლომატიური სვლებით გმოვიდეთ მდგომარეობიდან.

ჩვენ რომ კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ, სხვათა შორის, ეს დადასტურა იმათმა გამოსვლამ, ვინც ამართლებდა ამ კონსტიტუციას. როდესაც ჩვენ საფრთხე არ გველის ამას არ სჭირდება არავითარი დადასტურება. (ტაში). სწორედ როდესაც რაიმეს ვღებულობთ და რაიმე მოითხოვს დასაბუთებას, ახსნა-განმარტებას, ბოდიშების მოხდას, ეს უკვე ნიშნავს იმას — საქმე ძალიან ცუდად არის.

ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, რომ კენჭი ეყაროს მწერალთა კავშირში ამ საკითხს — აძლევენ თუ არა ამ კონსტიტუციას საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები ხმას და ნუ დავიწყებთ — რით შეიძლება გამართლდეს კონსტიტუცია (ხანგრძლივი ტაში).

ИЗА ОРДЖОНИКИДЗЕ:

დღეს ვერავინ გამაჩუმებს

მე არა მგონია რომელიმე ქართველს, წესიერ ადამიანს, რომელიმე ნამდვილ ინტელიგენტს, გნებავთ მუშას, გლეხს, დღეს საქართველოში მცხოვრებს ამაზე რთული, საპასუხისმგებლო, ძნელბედობის დღე დაუდგეს ოდესმე.

მე მაინცა და მაინც დიდი იმედი არა მაქვს, რომ მომავალი საუკუნის დამდეგს მოვესწრები და მოვისმენ იმ ისტორიულ მსჯავრს, რომელსაც ჩვენ, ამ კრების მონაწილეებს გამოგვიტანენ! ამიტომ დღეს ვიტყვი თუ ამ კონსტიტუციას ასე მივიღებთ, როგორც გვთავაზობენ, ბატონო ნოდარ, იმ საუკუნის ქართველებმა ჩვენ ყველანი შეიძლება საერთოდ კანონგარეშე გამოგვაცხადონ, განა ჩვენი გადასაწყვეტია ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ბედი?! ვინა ვართ ჩვენ?! ერის უკითხავად თავს რად ვიდებთ ისეთ საქმეს, რომელიც (თუ სწორად ვერ მოვიქეცით!) შეგვარცხვენს?! ქართული ენის ბედი დიდი ხანია, 2000 წლის წინ არის გადაწყვეტილი! ერთხელ და სამუდამოდ!

გრ.აბაშიძე - ემოციების გარეშე იზა!

ბატონო გრიგოლ, აქ დღეს გამოსული ვერც ერთი ადამიანი ემოციების გარეშე ვერ ილაპარაკებს, თუ უემოციოდ განხილვა გნებავთ, მაშინ კონსტიტუციის ეს პროექტი მიცვალებულთათვის უნდა მიგეცათ განსახილველად, სასაფლაოზე უნდა გაგემართათ კრება! თუმცა ამ პროექტს არც ჩვენი მკვდრები მიიღებდნენ, ბატონო გრიგოლ, სხვათა შორის ლენინსაც კი უწერია ერთგან - ყველა ცოცხალი ადამიანი, რომელსაც აქვს გული, არ შეიძლება გულგრილი და ინერტული დარჩეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის ჟამსო. როცა ილია მოკლეს მთელმა ეპოქამ, რომელიც ილიასთან ერთად დამთავრდა, განავრცო, განიცადა ერის დიდი წუხილი, მაგრამ დღემდე კარგად არავინ დაფიქრებულა, და რაც მთავარია, ხმაამაღლა არავის უთქვამს ვინ მოიმოქმედა ეს საშინელი დანაშაული, არვის უთქვამს რომ ჩვენში, ჩვენიანების ხელით მომზადდა ეს საშინელი მკვლელობა.

როცა ილიას მოკვლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძეს ვიღაცამ ჰკითხა რომელი ილია მოჰკლესო, ნიკო ნიკოლაძემ უპასუხა - რომელ ილიას მოჰკლავდნენ ჩვენ ერთი ილია გვყავდაო. ჩვენ ერთი დედა ენა გვაქვს, ნუ ჩავიდენთ ილიას მკვლელობაზე უფრო საშინელ მკვლელობას! ნურც სხვას, უცხოს, გადავაბრალებთ ყველაფერს, ჩვენ, მწერლები, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ, უმნიშვნელოვანეს ეტაპზე არ უნდა ვიყოთ ასეთი მშიშრები, არაგულწრფელნი, და უგულისყურონი ჩვენი დედაენის მიმართ. დღევანდელი კრება კი სწორედ იმის ნიმუშია, რომ ასეთნი ვართ.

მე როგორც ქართველს, რიგით მოქალაქეს, რომელსაც არაფერი სხვაგან, გარდა საქართველოსი, ცხოვრება არ მსურს, დღეს ვერავინ გამაჩუმებს. ჩვენ, ყველას ერთად, სრული უფლება გვაქვს, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ პროექტის განხილვაშიც და გვქონდეს, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ამ დოკუმენტის გარშემო.

ქართული ენა ღვთისაგან დაცული ენაა. მე-20 საუკუნის ბოლოს ქართულ ენას დაცვა რომ სჭირდება მე ეს დიდ მკრეხელობად და უბედურებად მიმაჩნია. აი ეს გახლავთ ჩემი გამოსვლის აზრობრივი და ემოციური არსი.

ახლა რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის რიგ მუხლებთან დაკავშირებით:

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციია, თუმცა სრული ფიქცია გახლავთ, მაინც უკეთესია იმასთან შედარებით, რასაც დღეს გვთავაზობენ. ძველ კანონში მკაფიოდ, ნათლად არის ჩამოყალიბებული რესპუბლიკის ყველა უფლება - მოვალეობა, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებამოვალეობა და სხვა...

ახალი კონსტიტუციის პროექტში, რამდენიმე საკვანძო, ეროვნული თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობის პუნქტი, ძალზე განსხვავებულად, ჩვენდა საზიანოდ არის ჩამოყალიბებული, მაგალითად 75-ე მუხლი; მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოს გარდა ენისა, სხვა ნიშნებიც აქვს, რომელიც მის სუვერენობას განსაზღვრავს, ეკონომიკური, სოციალური და სხვა. ყველაფერს მივაქციოთ ყურადღება, ყველა კუთხიდან შევხედოთ პროექტს, იქნებ ზოგმა არც კი იცის, ვერ ხვდება, რა არის ჩვენს თავს და რას გვიპირებენ.

თავი მეცხრე, მუხლი 13: საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით ადგენდა საქართველოს მინისტრთა საბჭო და შემდგომ ამტკიცებდა მას საკავშირო მინისტრთა საბჭო - თავი IX, მუხლი 112 პროექტში (თავი XX) შეტანილი 161 მუხლით, მე თუ სწორად მესმის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საკავშირო ბიუჯეტის საფუძველზე... მე ვფიქრობ, რომ ძველი კონსტიტუციის მე-9 თავი მთლიანად უნდა დარჩეს ძალაში, თუ კი ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ.

სასურველია საქართველოს ღერბიც ისე, როგორიც იყო.

„ალამი“ „დროშა“ გახლავთ. დროშა დიდია, ალამი პატარაა და სამკუთხა. რესპუბლიკას დროშა შეჰფერის. ნუ დავაპატარავებთ დროშას. ძველი კონსტიტუციის ეს ცნებაც უნდა გადავიდეს ახალში.

მოდით დღეს მაინც ვიყოთ გულწრფელნი, ვთქვათ, რასაც ვამბობთ, გულწრფელად, ვიმეორებ გულწრფელად! ახლა გულწრფელობის და სიმართლის თქმის ყველაზე უკეთესი წამია. ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე სასიცოცხლოდ აუცილებელი!

ძველი კონსტიტუციის 156 მუხლის ახალი რედაქციაც არ მიმაჩნია სწორად, მიზანშეუწონელია. ახალი პროექტის 75-ე მუხლის მეორე - მესამე აბზაციც მოითხოვს აზრობრივ და მკვეთრ სტილისტურ დახვეწას. რადგან რაც არის, ის საშიშად ორაზროვანია. ამ პუნქტით კანონდება ის (ვგულისხმობთ ეროვნული რესპუბლიკის მიმართ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას!), რაც დღემდე არაოფიციალურად კეთდებოდა საქართველოში. და რომ რუსიფიკაცია ხორციელდება, თითოეული ჩვენთაგანის „დამსახურებაა“. ჩვენ მივიყვანეთ საქმე იქამდე, რომ შოეკლათ ილია და დღესაც მივიყვანეთ საქმე იქამდე, რომ ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმება შემოგვბედეს, თანაც სურთ ეს ჩვენივე ხელით გაგვაკეთებინონ! ეს არ შიძლება ჩვენ გავაკეთოთ, ეს დაუშვებელია! 75-ე მუხლის მაგივრად სასურველია და აუცილებელი ძველი კონსტიტ[illegible] 156 მუხლის უცვლელად დატოვება. „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. ამას მოვითხოვ როგორც ქართველი, როგორც მწერალი, როგორც მოქალაქე. როგორც წერია ძველ კონსტიტუციაში, დარჩეს უცვლელად. უნდა გამოვიდნენ ჩვენი ხალხის ინტერესებიდან, იმ ინტერესებიდან, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალს უკავშირდება. ჩვენი სილაჩრე გამოიწვევს სამომავლო მიზნების გაყალბებას, ამას შეიძლება მოჰყვეს მრავალი დიდად არასასურველი დამღუპველი შედეგი.

კულტურულმა ერმა იმდენი კი უნდა შეიძლოს, რომ გაიტანოს, დაიცვას სასიცოცხლო მნიშვნელობის აზრი - საქართველოში ქართული ენა უნდა ვითარდებოდეს ისე, როგორც ერი ითხოვს, როგორც ქართველ ერს ეკადრება.

პროექტის მეხუთე თავის 32-ე მუხლში აუცილებლად უნდა დაემატოს სიტყვა „პარტიულობისა“, რომ ვინმეს არ მოეჩვენოს, თითქოს პარტიულები რაიმე აზრით მეტი უფლებებით ისარგებლებენ, ვიდრე უპარტიონი. (ხმა-სწორეა!) მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს, სურვილსა და შენიშვნებს უსათუოდ გაითვალისწინებენ ზემდგომი ორგანოები. გასათვალისწინებელია ის ემოციებიც, რომელიც ზოგიერთების სიტყვებს ახლდა.

პატიოსან ადამიანთა კეთილი გრძნობები უნდა მოხმარდეს საზოგადოებასა და ჩვენი ერის ინტერესებს. ეს არის ჩვენი უდიდესი ვალი შთამომავლობის წინაშე.

ახალი კონსტიტუციის პროექტის 171-ე მუხლს ბევრად სჯობს ძველი, მოქმედი კონსტიტუციის მეათე თავის 124-ე მუხლი, ე.ი. უფრო უკეთესად, უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული.

სასურველია ძველის უცვლელად დატოვებაც. აი მოკლედ ის ფაქტები, რაც გამოჩნდა ახალი კონსტიტუციის წაკითხვისას.

მჯერა, რომ საზოგადოებრივი განხილვის შედეგების გათვალისწინების შემდგომ, ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღებს ისეთ სახეს, როგორიც შეჰფერის ჩვენს სახელმწიფოს - საქართველოს.

მაქვს სხვა შენიშვნებიც, შემეძლო მეთქვა, მაგრამ ძალიან ბევრი გამოვა. მაგალითად, არის პუნქტი, - „საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას აქვს უფლება უშუალოდ ურთიერთობა დაამყაროს...“ ახალში სიტყვა „უშუალო“ ამოღებულია! უნდა ჩაემატოს!

ЕЛЕНЕ ГАБАРИЧИДЗЕ:

ქართველი ხალხი ამას ვერასოდეს შეურიგდება

მე საერთოდ მშიშარა არა ვარ. ახლა კი მეშინია, მეშინია მხოლოდ ერთი რამის, ვაი თუ ყველაფერი ვერ ვთქვა, ვერ მოვასწრო ან დამავიწყდეს.

მე არ შევჩერდები იმ დადებით მხარეებზე, რომლებიც გააჩნია ჩვენს კონსტიტუციას. ეს ყველაფერი სისხლიფაა მოპოვებული და ნურავინ დაგვამადლებს.

მე მინდა ვთქვა, სად და როგორ ირღვევა დემოკრატია. გამოვიდა გაზეთი, სადაც კონსტიტუციის პროექტია, იმავე დილით ქარხნებში მოიწვიეს მიტინგები თუ კრებები და მუშათა კლასმა ხელი მოაწერა ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ ტექსტზე. ეს მე მითხრეს მუშებმა, რომლებიც ახლა თავში ხელს იშენენ. არსებობს დაწესებულება, სადაც კრება საერთოდ არ ჩატარებულა, ხელმძღვანელმა სკამის დაკარგვის შიშით ფიქტიური ოქმი შეადგინა. ეს რაც მე ვიცი, რაც არ ვიცი, ის სხვაა.

მე მართალი გითხრათ, არც ის მიხარია, ჩვენი პრეზიდიუმის წევრებმა რომ წინასწარ მოახსენეს ცენტრალურ კომიტეტს თავისი აზრი და ახლა ჩვენი გამოსვლებიც ფიქტიურობამდეა მისული. (ხმები - სწორია, ტაში. გ.აბაშიძე - ნელი, ახლა შენ ტაშს გიკრავენ მწერალთა კავშირის არაწევრები). სანამ ჩვენი გამოსვლების სტენოგრამა გაიშიფრება, კონსტიტუცია უკვე პროექტი კი არ იქნება, არამედ მიღებული კანონი და იქ დარჩება 75-ე მუხლის მეორე, ყოვლად გაუმართლებელი ნაწილი. არის თუ არა ეს დემოკრატიულობის დარღვევა? ერთი შეხედვით - არა. სინამდვილეში არის.

მე სახლში ხშირად მიხდება საკუთარ ბავშვებთან დავა: დედა, მთელი კლასი ასე იქცეოდა და მე რა მექნაო, გაკვეთილიდან გავიპარეთო და სხვა. მე ხშირად მითქვამს, შენ სხვა ოჯახის შვილი ხარ, იქნებ სჯობდა სხვაგვარად მოქცეულიყავით-მეთქი. ჩვენ რა გვესაქმება როგორ აქვთ შედგენილი სხვა ერებს კონსტიტუცია, ჩვენი კონსტიტუცია რუსთაველისა და იაკობ ცურტაველის ქვეყნის კონსტიტუციაა, ვახტანგ მეფისა და სულხან საბა ორბელიანის ქვეყნის კონსტიტუციაა და დიახაც უფრო დახვეწილი ენით უნდა დაწერილიყო და არ დამსგავსებოდა ოქმიდან გადმოთარგმნილს, რატომ არ შეიძლება სხვისი რვეულიდან კი არ გადავიწეროთ გაკვეთილი, არამედ ჩვენ თვითონ დავიცვათ ჩვენი უფლებები. ჩემის აზრით, უკეთ უნდა გამოიკვეთოს 43-ე მუხლის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს სოც.რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. სახელდობრ, სკოლაში დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა; რატომ მარტო სკოლაში? - პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლები? მათ რომელ ენაზე სწავლის „შესაძლებლობა“ აქვთ? რაკი დედაენაა, ამ ენაზე სწავლა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს და არა „შესაძლებელი“. მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებშიც.

მუხლი 69 - საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

ჩემის აზრით, აქ სტილისტური დაუხვეწაობა შეინიშნება. უმჯობესი იქნებოდა თქმულიყო ასე:

„საქართველოს სსრ-ს ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებს, აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის უფლება“.

სიტყვა „ინარჩუნებს“ ამ წინადადებაში, ვფიქრობ, როგორღაც უხერხულად ჟღერს. თიქოს ძალით ინარჩუნებდეს ან ვიღაც უშლიდეს და მაინც ინარჩუნებდეს (სიცილი. ტაში).

მუხლი 82. საქართველოს სსრ კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, საქართველოს სსრ კანონისაგან ავტონომიური რესპუბლიკის კანონის განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს სსრ კანონი. ეს პუნქტი ან ზედმეტია, ან, ყოველ შემთხვევაში, მეტი სინათლის შეტანას მოითხოვს.

მუხლი 32. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა. საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიონ და იყოს არჩეული, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შშლილებად. ჩემის აზრით, კანონი არ ადგენს, ვინ შეიძლება იყოს სულით ავადმყოფი და ვინ არა. გარდა ამისა, სიტყვა „შეშლილი“ ავადმყოფი ადამიანის მიმართაც კი შეურაცმყოფელი ცნებაა. უმჯობესია ვიზმაროთ რომელიმე სამედიცინო ტერმინი: ვთქვათ, ფსიქიურად არასრულყოფილი, სულით ავადმყოფი ან რაღაც ამდაგვარი (ხმები - სწორია). ეს წინადადება უნდა შეიცვალოს ასე:

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ქართველი ხალხი ამას ვერასოდეს შეურიგდება

(დასაწყისი მე-3 გვ.)

გარდა იმ პირებისა, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიჩნეული არიან ფსიქიურად დაავადებულებად (ხმა - სწორია!)

კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ასახულია ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სავალდებულო წესი. რაც შეეხება საარჩევნო სისტემას, ვფიქრობ, უნდა თქმულიყო, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მატერიალური უზრუნველყოფისა და წახალისების მიზნით, იღებს გარკვეულ ფულად ანაზღაურებას, ხელფასს თავის ძირითად შემოსავალთან ერთად. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია და მისი გაუთვალისწინებლობა ძირითად კანონში, ვფიქრობ, უხერხულია.

მუხლი 171 ითვალისწინებს, რომ სამართალწარმოება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე _გამოსვლის უფლება.

აი, რა ნათლად არის განსაზღვრული ვინ რა ენაზე უნდა ილაპარაკოს სამართალწარმოების დროს. მაგრამ ახლა გადავხედოთ 75-ე მუხლს. აი, მისი II ნაწილი: პირველის არსი დღეს ყველამ კარგად იცის: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

მე მაინტერესებს, სახელდობრ როგორ იქნება რადიოსა და ტელევიზიის საქმე? საქართველოში 80-მდე ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. კვირაში ერთი საათი მაინც თუ მოუწევს ქართულს? თორემ ხომ შეიძლება დაგვემდურონ ბერძნები, აზერბაიჯანელები, იეზიდები, ესპანელები, სომხები და სხვა ჩვენი თანამემამულენი, თუ მათ ენაზე გადაცემები არ იქნება? არა და, რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ხომ არ დაიშვება?

ჩემის აზრით, აქ მარტო სტილს ვერ დავაბრალებთ ამ ამბავს. ცნობილია, კოლექტივიზაციის პერიოდი რომ იყო, მაშინ რომ ამბობდნენ ერთი საბანი იქნებაო და ა.შ. სანამ საქმე არ გამოსწორდა და სანამ დამნაშავენი არ დაისჯენ, კოლექტივიზაციის საქმე ცუდათ იყო. ხომ არა აქვს აქაც ადგილი ძირგამომთხრელ მუშაობას? (სიცილი). მტერი ყველგან შეიძლება შემოგვეპაროს ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში. ამიტომ რატომ უნდა შეირყეს რწმენა? რატომ უნდა იყოს შეშფოთებული ჩვენი ინტელიგენცია? ეს არის ჩვენი დედა ენის, მრავალჭირნახული და უმშვენიერესი ქართული ენის დამთრგუნავი მუხლი: ქართველი ერის „ყოფილი სახელმწიფო ენის“ მიწასთან გამსწორებელი მუხლი, თუ აქ სტილისტური გაუგებრობაა, მაშინ უნდა სასწრაფოდ გასწორდეს, თორემ აგერ, ახლახანს, ამ პროგნოზით მწერალთა ყრილობაზე გამოვიდა ჩვენი სახელოვანი მწერალი რევაზ ჯაფარიძე და ყრილობის მონაწილეებმა დიდი მღელვარებით მოუსმინეს მას და მჭუხარე ტაშით გამოხატეს თავიანთი აღშფოთება, მხარდაჭერა, დედა ენისათვის თავის განწირვისა და თავის დადების სურვილი. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო...“ ახსოვდათ მათ. მერე ის იყო, ყრილობის მონაწილეებს შემოხვევით თავშეყრილი საზოგადოება უწოდეს და იმდენხანს გვარწმუნებდნენ, ქართული ენის ხელყოფა გულში არავის გაუვლიაო, რომ სახელოვან მწერალს ლამის ბოდიშიც კი მოახდევინეს.

გამოდის, რომ საფრთხე მართლაც არსებობდა! ზუსტად ერთი წელია საბრალდებო სკამზე ზის დიდი ქართველი მწერლის, „დიდოსტატის მარჯვენის“, „დავით აღმაშენებლის“, „ვაზის უკვალობის“ ავტორის კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი, ჩვენ მაშინაც დავიჯერეთ, რომ ჩვენ ეროვნულ ღირსებას არავინ ხელყოფს, ხოლო მისი შეშფოთება ქართველი ხალხის ბედით უნიადაგო და მტრის წისქვილზე წყალის დამსხმელი ფაქტი იყო. ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირიდან გაირიცხა. ზუსტად იმისათვის, ან დაახლოებით იმისთვის, რაც დღეს თვითეულ ჩვენთაგანს აღელვებს. მე არ მჯერა მისი დანაშაულის და ამაში დამნაშავეა გაზეთი „კომუნისტი“, როდესაც გაზეთმა „კომუნისტმა“ პირველი წერილი დაწერა „ვის აძლევს ხელს“, ზვიად გამსახურდია დახატული იყო როგორც პიროვნება, რომელსაც არავითარი დამსახურება არ მიუძღვის. სინამდვილეში ის არის პოეტი, მთარგმნელი, შესანიშნავი ლიტერატურული წერილების ავტორი, ის იყო მწერალთა კავშირის წევრი. და როცა მე ეს წერილი წავიკითხე, ვიფიქრე - აქ ჩემი მოტყუება უნდათ და აღარც ეპისკოპოსების წერილები წავიკითხე ამ გაზეთში და არც სხვა არაფერი (ტაში). თუ ზვიად გამსახურდიას მარტო წერილების მეტი არაფერი დაუწერია, მაშინ როგორ მიიღეთ მწერალთა კავშირში? მე მგონი მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და მე პასუხს ვერ ვაგებ.

ისე ხომ არ გამოდის, რომ მისი ხალხის მტრად გამოცხადება ნაადრევი ყოფილა. ჩემთვის გაუგებარია. პარტია და ხელისუფლება, ჩვენი სახელოვანი კომკავშირი თავის პრემიას აძლევს შესანიშნავ საბავშვო პოეტს გივი ჭიჭინაძეს. ეს ხომ სწორედ ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე დიდი ზრუნვის გამოხატულებაა. მაგრამ საკითხავია ვინ წაიკითხავს ამ ლექსებს 20 წლის შემდეგ? რუსი პოეტი, ჩვენი ხალხის უნაზესი მეგობარი ბელა ახმადულინა, და მრავალი სხვა დიდოსტატი დიდის რუდუნებით და გულისყურით თარგმნიან გალაკტიონის, ბარათაშვილის, ვაჟას, ჩვენს თანამედროვეთა შემოქმედებას. ისინი ქართული პოეზიიდან გადაღებულ პწკარედებს მშვენიერ ყრმას ადარებენ, რომელსაც მკერდზე მიხუტება და ალერსი უნდა. და არც აკლებენ...

განა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის მეგობრებს გულს არ ატკენთ ჩვენი ენის ასეთი შეზღუდვა?

ქართველი ხალხი ჩვენი ძირითადი კანონის 75-ე მუხლს ვერასოდეს შეურიგდება. ქართული ენა უთვალავი საუკუნის მანძილზე სისხლისა და თავგანწირვის ფასად იყო სახელმწიფო ენა და დარჩება კიდეც. მე ასე ვფიქრობ. მხოლოდ საჭიროა სიტყვიერად კვლავაც ვაღიაროთ ეს. რაც შეეხება ჩვენს სტუმართმოყვარეობას, რომელიც იმდენად ჯვაჭვს ძვალსა და რბილში გაბაბეთ, რომ ზოგ ვართ შორით მოსულ მეგობარს სახლის დიდი ნაწილი დავუთმო, ეს ჩვენი ერის დიდი ღირსებაა და ჩვენმა ერმა კარგად იცის, როგორ უნდა მოეფეროს, გაათბოს, დაუყვაოს და ზოგჯერ წინაც დააყენოს ახლადაღორძინებული სხვა ეროვნებების წარმომადგენლები. მათ როდი აქვთ პრეტენზია მთელი სახლის დაკავებისა. ისინი როდი სთხოვენ ჩვენს შვილებს მათ ენაზე დაიძახონ „დედა“ ან თარგმნაში იკითხონ „ვეფხისტყაოსანი“.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი მართლაც სტილისტური ან რაიმე სხვა სახის შეცდომაა, უცნაურია, პრივილეგია დაარქვა იმ ფაქტს, რომ ქართველი სტუდენტი ქართულ სახელმძღვანელოს კითხულობდეს, ხოლო ქართველი გლეხი ქართულად ქმნიდეს ახალ ბალადას ვეფხისა და მოყმის მარადიულ ძლიერებასა და დედის მარადიულ სათნოებაზე.

ასე რომ არ იყოს, მაშინ ისე გამოვიდოდა, რომ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში შესულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მუხლი. ზემოხსენებული 75, და მუხლი 180, რომელშიც აღწერილია ჩვენი სახელმწიფო გერბი... თურმე ნამგლისა და უროს ქვემოთ ყოფილა წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, ხოლო ჩუქურთმიანი არშიის თეთრ ფონზე მოუთავსებიათ ორი მცირე ვარსკვლავით გამიჯნული წარწერა ისევ ქართულ (არა ბერძნულ, იტალიურ, ლათინურ ან სომხურ, არამედ ქართულ) და რუსულ ენებზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ნუთუ დასაშვებია, რომ ამ გერბზე მოთავსდეს იმ ოთხმოცი ეროვნების წარმომადგენლის ენებზე აწყობილი ლოზუნგებიც? არა, საქართველოს გერბზე წარწერა სამართლიანად არის ქართული და რუსული. ასევე, ამის შესაბამისად უნდა გასწორდეს 75-ე მუხლიც. (ტაში)

ამხანაგებო, მე მხოლოდ საქმეზე ვილაპარაკებ. ნოდარ წულეისკირს, რომელმაც საჯაროდ მომაყენა შეურაცხყოფა სხვა დროს გავცემ პასუხს. დღეს ამით არ მოგაცდენთ.

დამერწმუნებით, ემოცია საუკეთესო საშუალება არ არის საიმისოდ, რომ კონსტიტუციის პროექტი განვიხილოთ ღრმად და ყოველმხრივ.

პირველყოვლისა მინდა გითხრათ: სიტყვა „რესპუბლიკა“ ლათინურად ნიშნავს სახალხო სახელმწიფოს - „რეს“ და „პუბლიკა“, რესპუბლიკა სახელმწიფოებრიობის ფორმაა. საკავშირო კონსტიტუციის 116-ე, 159-ე და 169-ე მუხლებში ნახმარია, და სრულიად მართებულადაც ცნება „მოკავშირე რესპუბლიკების ენა“.

გუშინ, როდესაც შეხვედრა გვქონდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ წარვადგინეთ წინადადებები კონსტიტუციის პროექტზე. ამ შეხვედრას ესწრებოდა პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, რომლებმაც ერთობლივად შევიმუშავეთ ბატონი გრიგოლის მიერ აქ წარმოდგენილი წინადადებები. მე კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, პროექტის 75-ე მუხლის ჩვენი რედაქცია. მე ის ზეპირად მახსოვს, ვინაიდან თანაავტორი ვარ ამ რედაქციის და ჩემი ხელითაა დაწერილი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურული და სხვა დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ რესპუბიკის ენაზე - ქართულ ენაზე. საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის“. აქ შევჩერდები. ვფიქრობ, ამ აბზაცში სადაო არაფერია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ „რესპუბლიკა“ ნიშნავს სახალხო სახელმწიფოს. „რესპუბლიკის ენა“ - სახალხო სახელმწიფოს ენას. ამასთან, რომ ვთქვათ „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართული ენა ტავტოლორგია იქნება. გამოგვივა - სახელწიფოს ენაა სახელმწიფო ენა. ვფიქრობ, ასე არ ვარგა.

აქ ლაპარაკი იყო საფრანგეთის კონსტიტუციაზე, სხვა ქვეყნების კონსტიტუციაზეც. მინდა გითხრათ, როდესაც ესა თუ ის ენა სახელმწიფო ენად ცხადდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოს ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“. (ხმა - რატომ რუსული?).

თქვენ ყველა ბრძანებდით, რომ რუსული ენა გახლავთ ეროვნებათაშორის ურთიერთობის ენაო. ამასთან ზოგიერთი ითხოვს, რატომ ვიწყებთ ენების ჩამოთვლას რუსული ენიდანო. სად არის ლოგიკა - საქართველოში მცხოვრებ სომეხს, რუსს, აზერბაიჯანელს - დავავალდებულოთ, დავაძალოთ მაინცდამაინც ქართულ ენაზე გველაპარაკონ? (დარბაზში ხმაური, ხმები რატომ? ჩვენ რომ გვედავებიან). (ხმა - აი ეს არის უბედურება). სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“. (ხმა - რატომ რუსული?).

ამ ადგილიდან - ჩვენ რომ გვავალდებულებენ?...) (ხმაური). რომელ ენაზე და ვინ გავალდებულებთ?! (ხმა დარბაზიდან - თუ ქართულად არ ვილაპარაკებ, რა მნიშვნელობა ექნება რუსულად ვილაპარაკებ, თუ ფრანგულად?) (ადგილიდან - თქვენი პოზიცია გასაგებია.).

მე ძალიან გთხოვთ, რომ მათქმევინოთ ბოლომდე, თუ არ მაქვს ამის უფლება, კი, ბატონო! თუ მხოლოდ იმის უფლებაა დღეს, რომ ვლანძღოთ ერთმანეთი და ვაძაგოთ კარგი პროექტი?!...

შემდეგი აბზაცი იმავე 75-ე მუხლისა: „რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“. თქვენ ესეც არ მოგწონთ. მაგრამ, როდესაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას ერთსულოვნად ვუჭერდით მხარს, მაშინ ყველამ მოვიწონეთ პუნქტი სადაც წერია: ერთი ერის მეორეზე უპირატესობის ქადაგება კანონით ისჯებაო. ვართ ლოგიკურები? ვფიქრობ, არა. როცა არაპრივილეგირებული მდგომარეობა ჩვენზე ვრცელდება, ვღელავთ, სამართლიანადაც: როცა ეს ვრცელდება სხვებზე, მოგვწონს (დარბაზში საერთო ხმაური, აწყვეტინებენ ლაპარაკს)...

(თ.დონდუაშვილი - ამას აბა როგორ ამბობთ, ფილმის დამთავრებას არ გვაცდიან, გვითიშავენ და ჩართავენ თავისას) (საერთო ხმაური)...

აქ ლაპარაკი იყო, რომ საქართველოს კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია მუხლი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკას აქვს უფლება ავტონომიის შექმნისა და მოითხოვთ, ჩაემატოს უფლება გაუქმებისა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში რომ იყოს მუხლი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირს აქვს უფლება მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისა და ამავე დროს მისი გაუქმებისაც თუ მოგეწონებოდათ? (დარბაზში აღშფოთებაა, საერთო ხმაური)...

მე აქ კანონებს არ ვაწესებ, მე ვამბობ ჩემს აზრს და გთხოვთ მათქმევინოთ, (ხმა დარბაზიდან - გასაგებია თქვენი აზრი). თქვენთვის თუ „გასაგებია“, სხვასაც მსურს გავაგებინო.

(ხმა -თქვენი პოზიცია გასაგებია). ჩვენი სახელმწიფო სახალხო სახელმწიფოა, დემოკრატიული სახელმწიფოა, ავტონომიის შექმნა ჰუმანური, დემოკრატიული აქტია, გაუქმება კი ძალადობის აქტია. გაუქმება მხოლოდ თვით ამ ავტონომიის მცხოვრებლების უფლებაა (აწყვეტინებენ ლაპარაკს, საერთო ხმაურია. ხმები - რეგლამენტი, რეგლამენტი).

იყო ასეთი გამოსვლაც...

გიორგი შორეულიანი:

აქ სადაო არაფერია!

ჩვენი განმარტება

ჩვენი გაზეთის წინა, 10 აპრილის ნომერში დაიბეჭდა მარტვილელ მშრომელთა მიმართვა „გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას“, სადაც ასეთი ფრაზაც არის — „მას (გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დამტკიცებულ ლ.შ.ჯღარკავას — რედ.) გამგებლის კაბინეტში დახვდა ე.წ.თვითმარქვია გამგებელი გ.კატოვანი და მოადგილის ოთახში ა.ბირკაია (კაცი, რომელსაც დღემდე შრომის წიგნაკი არა აქვს), რომლებმაც ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერ მოთხოვნაზე,გამოსულიყვნენთვითნებურად, უკანონოდ დაკავებული კაბინეტებიდან, სასტიკი უარი განაცხადეს“.

მეორე დღეს რედაქციაში გვეწვია აღშფოთებული რ.ბირკაია და საკუთარი შრომის წიგნაკი წარმოგვიდგინა.

განვმარტავთ, რომ რედაქცია ენდო იმ ოცდაექვსი მარტვილელი მშრომელის ხელმოწერას და ზემოხსენებულ წერილში მოყვანილი ფაქტები გასაგები მიზეზების გამო ვეღარ დავაზუსტეთ. ერთსაც დავძენთ-თუ ის 26 მარტვილელი მშრომელი ისეთივე მეთოდებით იბრძვის ლ.შ.ჯღარკავასთვის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობის მოსაპოვებლად, როგორც რ.ბირკაიას შრომის წიგნაკის ქონა-არქონაში არიან მართლები, მაშინ, რბილად რომ ვთქვათ, მართლაც ვერ ყოფილა მათი საქმე კარგად.

ხოლო რედაქცია ბოდიშს უხდის რ.ბირკაიას ზემოაღნიშნული შეცდომის გამო.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

ლევან მესხი:

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება „პარტიობანას“ წინააღმდეგი ვიყავი

დღეს ჩვენი გაზეთი მკითხველს სთავაზობს სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრის გაცნობას. ლევან მესხი — განათლებით ფიზიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი. ბოლო რამდენიმე წელიწადია აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას მიჰყო ხელი — დაარსების დღიდან არის საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, მისი თავმჯდომარის მოადგილე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დღესდღეობით არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი, პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს წევრი. ამ ფორუმის მიერ დასახელებულია და ორიოდ დღის წინ დამტკიცებულიც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ჩვენი საუბარიც ამით დაიწყო.

— ბატონო ლევან! რა პრობლემები მიგაჩნიათ დღეს ყველაზე მნიშვნელოვნად და სახელმწიფო საბჭოს მიერ პირველ რიგში გადასაწყვეტად?

— მე თავად ჯერ არ დავსწრებივარ მის სხდომებს, ამიტომ ქმედითუნარიანობაზე დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით. თუმცა თავიდანვე ვთვლიდი, რომ სახელმწიფო საბჭო დღეს მაქსიმალურად ეფექტური ორგანოა.

რაც შეეხება საბჭოს სტრუქტურას, არ მესმის მისი დაკომპლექტების პრინციპი. პიროვნებებს ვერ შევეხები, იქ ძალიან ბევრია პირადად ჩემთვის პატივსაცემი მოღვაწე, მაგრამ, ჩემი აზრით, შერჩევის პრინციპი ასეთია: ვინც მომწონს, იმას დავუძახებ. რა მაფიქრებინებს ამას? ის, რომ მასში არ არიან უველ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები. საბჭოს ბევრი წევრი კი უპარტიოა, თუმცა ცნობილი პიროვნება.

სტრუქტურად?

ახალ სახელმწიფო საბჭოს ის ადამიანი ხელმძღვანელობს, ვინც დღეს თავის თავზე აიღო ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის დაშყარების დიდი პასუხისმგებლობა. ეს მძიმე ტვირთია, მაგრამ ვფიქრობ, იგი თავისი საერთაშორისო ავტორიტეტისა და საბჭოს წევრების ხელშეწყობით გაართმევს თავს ამ ამოცანას.

— ბატონო ლევან, თქვენ ამავე დროს ხართ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი. რა სტადიაშია დღეს ახალი საარჩევნო კანონის დამუშავება?

— კანონის ახალი პროექტი პრესაში რამოდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა. იგი მოამზადა პოლიტიკურმა ორგანიზაციაზია „დას“-მა. ჩვენი კომისია კი ისევ ის ძველი კომისიაა, რომელიც ახლით საარჩევნო კანონის მიღების შემდეგ შეიცვლება.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სახელმწიფო საბჭოს ხელთ არის, აგრეთვე, სხვა კანონპროექტიც. ორიდან კონკრეტულად რომელი იქნება დამტკიცებული ამ ორგანოს მიერ, უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

— რა არის იმ კანონპროექტის ძირითადი პრინციპი, რომელიც „დას“-ის მიერაა დამუშავებული?

— ეს არის არჩევნების ჩატარება პროპორციული სისტემით ერთადერთი გადასაცემი ხმის უფლებით. მასში გათვალისწინებულია, რომ საქართველო უნდა დაიყოს მრავალმანდატიან ოლქებად. თითოეულ მათგანში იქნება მანდატთა გარკვეული რაოდენობა. ბიულეტენში მისთვის სასურველ კანდიდატებს თავისი პოლიტიკური სიმპატიების მიხედვით უნდა მიაკუთვნოს ნომრები: „1“,„2“,„3“ და ა.შ. ოლქში მანდატთა რაოდენობის მიხედვით. პარლამენტში არჩევა სწორედ ამ მიღებული ქულების დათვლის შედეგად მოხდება.

ვფიქრობ, ეს პრინციპი საკმაოდ დემოკრატიულია და დღევანდელი დღისთვის ყველაზე მისაღები.

— მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას „მრგვალი მაგიდის“ წევრი პოლიტიკური ორგანიზაციები?

— კანონპროექტში ამის შეზღუდვა არ არსებობს. არჩევნებში მონაწილეობა არავის, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ეკრძალება.

ჩვენს კომისიაში არიან „მრგვალი მაგიდის“ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები და მათთან პირადი საუბრებიდან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ, თუმცა ზოგიერთი ჯერ ორჭოფობს, ამ პარტიათა უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

— თქვენი აზრით, როდის იქნება უმჯობესი არჩევნების ჩატარება?

— ალბათ ისევ ოქტომბერში. ეს არა მარტო ჩემი, არამედ ძალიან ბევრი პოლიტიკური ორგანიზაციის თუ მოღვაწის აზრია. ამის სასარგებლოდ არსებობს მრავალი არგუმენტი. ზაფხულში, განსაკუთრებით კი ივლისსა და აგვისტოში, ხალხის დიდი ნაწილი დასასვენებლად მიდის და ამდენად საარჩევნო კომპანიისა და მითუმეტეს, არჩევნების ჩატარება ამ დროს აზრს კარგავს. დეპუტატობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ამომრჩევლებს სრულყოფილად გააცნოს თავისი პროგრამა და თავისი პიროვნება. ამისთვის მას სჭირდება პირადი შეხვედრები, გამოსვლები ტელევიზიით, რადიოთი და პრესით — ესჭიროება დრო საარჩეგნო კომპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის.

ეს სერიოზული სახელმწიფო საქმეა და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. ამ არჩევნებზე ჩვენი მომავალია დამოკიდებული და ამიტომ წინასწარ უნდა განვლოს რაღაც პერიოდმა, რათა ადამიანი კვლავ ლოზუნგებს კი არ აჰყვეს, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ შეაფასოს კანდიდატის პიროვნება და საქმიანობა და ამის მიხვევით გააკეთოს სწორი არჩევანი.

მჯერა, რომ ეს სწორედ ასეც მოხდება. ამომრჩეველი მხარს დაუჭერს არა უბრალოდ საქართველოს თავისუფლებას, არამედ ამ თავისუფლებისაკენ მიმავალ კონკრეტულ გზას. მთავარ როლს კანდიდატის ნაცნობი გვარი კი არ უნდა თამაშობდეს, არამედ მისი პოლიტიკური პროფესიონალიზმი. ვფიქრობ, რომ ხალხი სწორედ იმათ გამოუცხადებს ნდობას, ვინც მას პროგრესულ პოლიტიკურ პროგრამას შესთავაზებს და არა ცარიელ ლოზუნგებს. ამ ყველაფრის გასარკვევად კი დროა საჭირო. ამიტომ არჩევნების ოქტომბერში ჩატარება ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია.

— ბატონო ლევან! თქვენ საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი ხართ მისი დაარსების დღიდან და ახლა გიკავიათ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. რატომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი მაინცდამაინც ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, რა ნახეთ მასში თქვენთვის სხვაზე უფრო მეტად მიმზიდველი?

— რთული კითხვაა. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება „პარტიობანას“ წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ სახალხო ფრონტი ის ორგანიზაცია იყო, რომელიც პარტიულ პრინციპსა და სიმკაცრეს დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მთავარი იყო მისულიყავი და საქმე გაეკეთებინა. აქ იყო და დღესაც არის მეტი პიროვნული თავისუფლება, არ ყოფილა და არც არის პარტიული დოგმები. რა თქმა უნდა, სახალხო ფრონტს აქვს მოღვაწეობის სტრატეგიული მიმართულება, მაგრამ მისი მისაღწევი მეთოდები მეტად დემოკრატიულია, ვიდრე სხვა პოლიტიკურ პარტიებთან.

მე ვთვლი, რომ სახალხო ფრონტში ჩემი ყოფნითა და მუშაობით ვემსახურები იმ საქმეს, რომელიც ჩემს ქვეყანას სჭირდება.

— ესე იგი თქვენ სახალხო ფრონტი მიგაჩნიათ ყველაზე პროგრესულ პოლიტიკურ ძალად?

— რომ არ მიმაჩნდეს, არც ვიქნებოდი მისი წევრი.

— ბატონო ლევან, რა აზრისა ხართ გაზეთ „საქართველოზე“?

— ჩემი აზრით, იგი საქართველოში დღეს გამომავალი გაზეთებიდან ყველაზე მეტადაა თავისუფალი აზრის გამტარებელი. მასში ვერ ვხედავ ვერც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის გამოკვეთილ მხარდაჭერას — იგი ობიექტურობაზე უფრო ზრუნავს. ამასთან ერთად პირდაპირ ვიტყვი, რომ ვამჯობინებდი „საქართველო“ უფრო მეტად ინფორმაციული იყოს. თუმცა, მთავარი ის არის, რომ თქვენი გაზეთი სიმართლეს ემსახურება.

ესაუბრა
თენგიზ გოგოტიშვილი

„პიკის საათის“ გამო

ამ ათიოდე დღის წინ პატივი მხვდა, რადიომსმენელებთან მესაუბრა „პიკის საათში“. თემის სიმწვავის გამო ამ გამოსვლამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაც მაიძულებს, მკითხველს ამ გამოსვლის სრული ტექსტი მივაწოდო, რათა იგი არაზუსტი და არასრული ინფორმაციის ამარა არ დავტოვო. ვაქვეყნებ ამ ტექსტს გარდა ჩემი პასუხისა წამყვანის კითხვაზე ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ამ სამნახევარ თვეში საქართველოში დაღუპულთა რიცხვმა მიაღწია დაახლოებით იმის მეათასედს, რაც ჩვენზე თხუთმეტჯერ დიდმა ინგლისმა მხრვერპლად გაიღო მეორე მსოფლიო ომში. ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ ორი წლის მანძილზე, რაც ამ პერიოდს წინ უსწრებდა, საქართველოში ორასამდე ყოვლად უაზრო და უმიზნო მკვლელობა მოხდა, — შემთხვევითი მკვლელობა ახალგაზრდების წრეში, რომელსაც სხვა არავითარი საფუძველი არ ჰქონდა გარდა ადამიანთა ფსიქიკური აგზნებისა და გაღიზიანებისა. ძნელია ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი: იმ გერმანელი ექიმებისაგან, ვინც მოწამლულებს მკურნალობდა 9 აპრილის შემდეგ, გამიგონია: „ის, რაც თქვენ მოგვიდათ, ქიმიური კატასტროფაა. მაგრამ თქვენ ჯერ არ იცით, რა სოციალური კატასტროფა მოგელით ამის შედეგად ხალხის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო“.

იმაში. რაც ხდება, მე 90 პროცენტად ვადანაშაულებ ზვიად გამსახურდიას, რომელიც ხალხს მოუწოდებს ყოვლად უპერსპექტივო და უშინაარსო „დაუმორჩილებლობისაკენ“, ანუ სახელმწიფო მართვისა და მეურნეობის მოშლისაკენ ხელისუფლების დასუსტების მიზნით. 10 პროცენტად ვადანაშაულებ არსებულ ხელისუფლებას, რომელმაც დაუშვა ძმათა შორის სისხლისღვრა და პროცესის მოსაწესრიგებლად ვერავითარი სხვა საშუალება, გარდა შეიარაღებული მოქმედებისა, ვერ იპოვა. ეს 10 პროცენტი კმარა იმისათვის, რომ არსებული ხელისუფლება საქართველოს მართვის საქმეში ხელმოცარულად ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, მე მოვუწოდებ დაუმორჩილებლობის მონაწილეებს შეწყვიტონ ეს უშინაარსო და უპერსპექტივო წინააღმდეგობა, ასევე მოვუწოდებ ზვიად გამსახურდიას, რომელსაც საშუალება აქვს თავისი ერთი სიტყვით შეწყვიტოს სისხლისღვრა, გამოიყენოს ეს შესაძლებლობა. ასევე მოვუწოდებ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს, პარლამენტარების ჩათვლით, საჯაროდ თქვან უარი ყველა სახის მონაწილეობაზე საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში, გარდა დროებითი კომისიებისა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და ამათ დაამტკიცონ. საქართველოს დღევანდელ მართვაში თავისი მონაწილეობის უანგარობა.

საქართველოში ახალი დიქტატურა ვერ დამყარდება და არ უნდა დამყარდეს. ჩვენ წინ გვიდევს უმძიმესი არჩევნები, რომელშიც ჩვენ უნდა დავიცვათ ეროვნული ინტერესები, თავისუფლება და დემოკრატია. მანამდე საქართველოში სრულფასოვნად უნდა იმუშაოს სახელმწიფო მართვის მექანიზმმა. სხვა ყველაფერთან ერთად, მან უნდა იმუშაოს საქართველოს საერთაშორისო აღიარების მოპოვების მიმართულებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ გარდა ხელისუფლებისათვის ბრძოლისა, რომლის მოწმენიც ყველანი ვართ, არსებობს საქართველოსათვის ბრძოლაც.

ნ. ნათაძე

„იბერია-სპექტრის“ ინტერვიუს გამო

სამწუხაროდ, ჩემს ინტერვიუში გაზეთისათვის „იბერია-სპექტრი“, რომელიც გამოქვეყნდა 1992 წლის 9 აპრილს, ჩემგან დამოუკიდებლად დაშვებულია იმდენი უზუსტობა, რომ მე არ შემიძლია ჩემი თავი ამ ტექსტისათვის პასუხისმგებლად ჩავთვალო. ყველას ვერ გამოვეკიდები. აუცილებლად მიმაჩნია მხოლოდ ერთი განმარტება.

როდესაც ვამბობ, რომ არავინ, ვინც დღეს პოლიტიკაში ურევია, თავის ლოგინში არ უნდა მოკვდეს, მხედველობაში მყავს პირველ ყოვლისა ჩემი თავი და არა ვინმე სხვა ან სხვანი. ამ გამოთქმით მხოლოდ იმ აზრის გამოხატვა მინდა, რომ საქართველოს თავს დატრიალებული ტრაგედიის ფონზე ყოველ პოლიტიკაში ჩაბმული ადამიანისათვის მორალურად მიუღებელია ის პერსპექტივა, რომ ჩვენს ისტორიულ განსაცდელში სხვათა ზურგს ამოფარებული დარჩეს.

ნ.ნათაძე

გაუგებრობა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე

ამ საბჭოს შემადგენლობაში არ გახლავართ, მაგრამ სხდომას ვესწრებოდი, რადგან ერთ-ერთი გასატანი საკითხი მე მეხებოდა. გაუგებრობა, რომელიც მხედველობაში მაქვს, გაზეთმა „დრონი“ ასე აღწერა:

„31 მარტს გამართულ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე (იგი არ ეძღვნებოდა, უბრალოდ, დაემთხვა გამსახურდიას დღეობას), მოხდა მცირე გაუგებრობაც: ბატონმა თენგიზ სიგუამ ბატონ ნოდარ ნათაძეს მიმართა, რომ მას (სიგუას) დაურეკეს მილიციის სამმართველოდან და აცნობეს, რომ იქ შეკრებილი არიან სამაჩაბლოდან ლტოლვილი ქართველები და მოითხოვენ იარაღს; ამბობენ, რომ ამ ორი დღის წინ მათ შეხვდა ბატონი ნოდარ ნათაძე და ბრძოლისაკენ მოუწოდა. ბატონმა თენგიზმა სთხოვა სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს, დაერეკა მილიციის სამმართველოში თავმოყრილი ხალხისათვის და დაემშვიდებინა ისინი.

ბატონი ნოდარ ნათაძე სხდომიდან გავიდა. დაახლოებით 40 წუთის შემდეგ დაბრუნდა და განაცხადა, გორთან სატელეფონო კავშირი არ არისო. მას შეახსენეს უნდა დაერეკა არა გორში, არამედ თბილისში, მილიციის სამმართველოში. სულ მალე ბატონმა ნოდარმა გაარკვია, რომ მილიციის სამმართველოს შენობაში არ ყოფილან არავითარი ლტოლვილები, ხოლო მას პირადად არავითარი მოწოდება იარაღის ხელში აღებისაკენ არ გაუკეთებია და რომ ეს იყო რაღაც გაუგებრობა.“

სინამდვილეში არავისი ახსნა არ დამჭირვებია. „სამმართველოშ“, რომელიც ბატონმა თ.სიგუამ ახსენა, ბუნებრივია, გორის მილიციის სამმართველო ვიგულისხმე, რადგან თბილისის მილიციის გარშემო ლტოლვილნი არ შეიკრებებოდნენ (თუ შეკრებას მოინდომებდნენ მილიციასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაშურებდნენ). როცა გორს ვერ დავუკავშირდი, ბ-ნმა თ.სიგუამ დამიზუსტა, ხალხი თბილისში შეიკრიბაო, და მეც ამის შემდეგ თბილისის მისამართებით მოვიკითხე ამბავი. აღმოჩნდა, რომ არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, არც თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან ჩემი სახელი არავის ეხსენებინა. ზემოხსენებული უცნაური გაუგებრობის წარმოშობის მიზეზი ჯერაც არ ვიცი.

ჟურნალისტის (ბ-ნ თ.ქორიძის) ნაამბობს დავსძენ მხოლოდ იმას, რომ 40 წუთის მანძილზე, რაც ტელეფონებთან გავატარე, სხდომის დარბაზში დამთავრდა მსჯელობა ზუგდიდში შექმნილ მდგომარეობაზე და ხელისუფლების სამოქმედო კურსზე, რაზეც მე ჩემი სათქმელი მქონდა.

ნ.ნათაძე

ერისა და დემოკრატიის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები საქართველოში

ზოთა ნადირაშვილი

1. საქართველოს ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება დიდ სიძნელეებს აწყდება.

ჩვენ გვეგონა, რომ რუსეთის იმპერიის გავლენიდან გამოსვლას თავისთავად მოყვებოდა ჩვენი შესვლა თავისუფალ ერთა თანავარსკვლავედში. ჩვენ კი თავისუფლების მოახლოებისთანავე დავერიეთ ერთმანეთს, ეროვნული და დემოკრატიული ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდით.

ჩვენს ეროვნულ მოძრაობას აქამდე გარეგანი ძალების, რუსეთის იმპერიის და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებდა. ეს ძალები დაემხო და ჩვენ კი ისეთი იდეები და მიზნები არა გვაქვს,რაც შეიძლება იქცეს ჩვენს გამაერთიანებელ შინაგან ძალად.

ხალხი, ჩვეულებრივად, ერის გაერთიანებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას ხელისუფლებისაგან ელის. ჩვენს ყოფილ ხელმძღვანელობას კი ამისათვის საჭირო იდეები არ ჰქონდა. ამიტომ მათი საქმიანობა კრახით დამთავრდა. ამ საქმეში გარკვეული დანაშაული იმათ მიუძღვის, ვინც მათ ეს ძნელი საქმე დაავალა. ამაში საქართველოს მოსახლეობაა დამნაშავე.

მაგრამ მეორე მხრივ, რა ექნა ჩვენს ხალხს? მას არასოდეს არ აურჩევია თავისი ხელისუფლება. მან დღესაც არ იცის ვინ უნდა აირჩიოს ქვეყნის ხელმძღვანელად. სწორედ ამ სასოწარკვეთილების ფონზე გაჩნდა კურიოზული იდეა, საქართველოში მეფის მმართველობის აღდგენისა.

ხალხს ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შეუძლია დიდი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტა. როცა ხალხს თავისუფალი არჩევნების საშუალება მიეცა, მან სწორი არჩევანი გააკეთა. დაამხო ტირანია და ხელისუფლებაში ისეთი ხალხი აირჩია, ვინც დიდი წვლილი შეიტანა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როცა მათ წიხაშე სრულიად ახალი, უცხო ამოცანა დადგა - დემოკრატიული და ეროვნული სახელმწიფოს აშენება - ისინი ამისათვის სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. ნგრევის დიდოსტატები მშენებლად ვერ გამოდგნენ.

ასეთ ვითარებაში ოპოზიციის გაჩენა ბუნებრივი იყო, მაგრამ ჩვენ არც ამ საქმისათვის აღმოჩნდით მზად. ჩვენს პარლამენტარებს და მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებს, არ აღმოაჩნდათ სათანადო პოლიტიკური საქმიანობის უნარი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდა აეშენებინათ ნორმალური სახელმწიფო. ასეთი ხალხის შერჩევა ადვილი არ არის.

ჩვენი ქვეყნის წინაშე დღესაც დგას ამოცანა მოინახოს ხალხი, რომელსაც შეუძლია ეროვნული, დემოკრატიული და საერთოდ, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება.

2. ყოფილი ხელისუფლება მანკიერი მეთოდით მუშაობდა, რის გამოც მისი კრახი გარდაუვალი იყო. მან თავისი მუშაობის დასაწყისშივე განაცხადა, რომ მისი უპირველესი ამოცანა არის ეროვნული საკითხის გადაწყვეტა დამოუკიდებლობის მოპოვების გზით, ხოლო დემოკრატიზაციის, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებს შემდგომში გადასწყეტდა. საკითხების ერთმანეთისაგან იზოლირებულად გადაწყვეტის მეთოდით მუშაობას, ბუნებრივია, წარმატება არ მოყვებოდა. საკითხების გადაწყვეტის ეს მიუღებელი მეთოდი მან ეროვნული მოძრაობის პრაქტიკიდან წამოიღო.

როგორც ცნობილია, ხალხი მის წინაშე მდგარ საკითხებს იზოლირებულად, ცალ-ცალკე, ერთიმეორის მიყოლებით წყვეტს. მაგალითად, არჩევნების დროს ჩვენმა ხალხმა თავისი ერთერთი უმთავრესი ამოცანა გადაწყვეტა — დაამხო კომუნისტური რეჟიმი. მაშინ ხალხი არ ფიქრობდა სხვა საკითხებზე: დემოკრატიაზე, სახელმწიფოს მართვის უნარის მქონე ხალხის გამოძებნაზე, სხვა ერებთან სწორი ურთიერთობის დამყარებაზე და სხვაზე. საზოგადოება ასე აზროვნებს და მოქმედებს: ჯერ ერთ საკითხს გადაწყვეტს, მერე მეორეს, შემდეგ მესამეს და ა.შ. რთული საკითხების იზოლირებული, თითოთითო, ერთიმეორის მიყოლებით გადაწყვეტის გზა პარტისტული სტრატეგიის სახელით არის ცნობილი.

არსებობს მეორე გზა, საკითხების ერთდროულად მრავალი თვალსაზრისით გათვალისწინებისა და გადაწყვეტისა, რაც ჰოლისტური აზროვნების სტრატეგიის სახელით არის ცნობილი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტისათვის ჰოლისტური სტრატეგიაა შესატყვისი. დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხი ხელისუფლების შემადგენლობაში ამ საქმის პროფესიონალებს ირჩევს, რათა მათ ჰოლისტურად, კომპლექსურად გადაწყვიტონ სახელმწიფოს მართვის საკითხები. ჩვენი არჩეული ხელმძღვანელობა კი, სამწუხაროდ, პარტისტულად მოაზროვნე და მოქმედი აღმოჩნდა. მან პარტისტულად ჯერ ეროვნული დამოუკიდებლობის გადაწყვეტა სცადა და შემდგომისათვის გადასდო სხვა პრობლემების გადაწყვეტა. ასეთ პარტისტულ მიდგომას წარმატება არ ეწერა.

დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ ყოფილ ხელისუფლებას არა ჰქონდა ერის სწორი, გამართული თეორია. მათ მიერ ერზე ზრუნვა სხვა ერებთან დაპირისპირების გამწვავებით ამოიწურა: დაიწყო ბრძოლა ერთა შორის ნორმალური ურთიერთობის წინააღმდეგ, დაიწყო დევნა ინტელიგენციისა, რომელსაც კულტურული და პროფესიული კავშირები ჰქონდა სხვა ერების ხალხთან, გაძლიერდა ნაციონალიზმისა და თვითიზოლაციის ტენდენციები, რაც იწვევს პროვინციალიზმს და ერის დეგრადაციას.

ყოველივე ამას თავისთავად მოყვა დემოკრატიული პრინციპების დამახინჯება, ადამიანთა უფლებების დარღვევა, გაჩნდნენ პოლიტპატიმრები, დიქტატს დაუქვემდებარეს პრესა, რადიო, ტელევიზია. ყოველივე ამას წინ აღუდგა ოპოზიცია და ერის ჯანსაღი ნაწილი.

მაგრამ ჩვენ საგანგებოდ გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ **ყოფილი ხელისუფლების ის პოლიტიკა არა მხოლოდ ანტიდემოკრატიული, არამედ, ფრიად ანტიეროვნული იყო.** მას მოყვა ჩვენი ქვეყნის ეროვნული დეგრადაცია, ერის შინა და გარე ურთიერთობების მოშლა. მკვეთრად გაუარესდა სხვა ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, ქვეყნის შიგნით კი გაიზარდა დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის.

ასეთი შედეგი მოსდევს ყოველ ცალმხრივ, პარტისტულ პოლიტიკას, როცა სახელმწიფოს მშენებლობა მისი მხოლოდ ერთი ასპექტის საფუძველზე ხდება.

3. თუ კარგად დავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ყოფილი ხელისუფლების ნაციონალისტურ, არაჯანსაღ პოლიტიკას, ოპოზიცია ასევე ცალმხრივი პარტისტული ორიენტაციით დაუპირისპირდა. მათგან ხშირად ისმოდა მოწოდებები, ჯერ ქვეყნის დემოკრატიზაცია და შემდეგ დამოუკიდებლობა და ეროვნული პრობლემების გადაწყვეტა. პროვინციულ-ნაციონალისტური პოზიციის წინააღმდეგ ოპოზიციამ დემოკრატიზაციის ამოცანა წამოაყენა, მაგრამ მათ სამართლიან ანტინაციონალისტურ ორიენტაციაში ეროვნული ნიჰილიზმის ერთგვარი ტენდენციაც გაჩნდა. საზოგადოების უარყოფითი განწყობა ყოფილი ხელისუფლების მიმართ თანდათან ეროვნულ მოძრაობაზე ვრცელდება. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ პროცესს საზოგადოების გარკვეული ძალები ხელს უწყობენ. ეს საკითხები ფართო განხილვას მოითხოვს. ამიტომ ეროვნული პრობლემების შესახებ ჩვენ მომდევნო წერილში საგანგებოდ ვილაპარაკებთ. ჩვენ ეხლა გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ისევ ცალმხრივი პარტისტული პოზიციით თუ შეეცდებით ჩვენში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, სამწუხაროდ, ისევ კრახით დამთავრდება ჩვენი აქტივობა. დღესაც გულუბრყვილოდ არ უნდა გვგონოს, რომ გადავწყვეტთ ერთ რომელიმე მთავარ საკითხს, მაგალითად, დემოკრატიზაციის საკითხს, და ყველაფერი დანარჩენი პრობლემა შემდგომში გადაწყდება.

ჩვენს საზოგადოებაში და ხელისუფლებაშიც არიან ადამიანები, რომლებსაც ასევე პარტისტულად უპირველეს და ძირითად ამოცანად ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტა მიაჩნიათ. ვერც ეკონომიკის საკითხები გადაწყდება სხვა ასპექტებთან კავშირის გარეშე. შემთხვევითი არ არის მაგალითად ის, რომ გლეხობა დიდი ენთუზიაზმით არ ხვდება მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას. მათ, როგორც ირკვევა, ისევ უნდა შევუქმნათ დადებითი განწყობა მიწის კერძო საკუთრების მიმართ. რას ვიზამთ, ბევრად უფრო ადვილია ადამიანებს წაართვათ რამე, ვიდრე ძალით მისცეთ. მათ შინაგანად არ სჯერათ, რომ ხელისუფლება მათ რაშეს მისცემს. ხალხის ბუნებრივი განწყობაა ის, რომ ხელისუფლება სათავეში მოდის თავისი მოთხოვნილებებისა და მიზნების დასაკმაყოფილებლად და არა იძისათვის, რომ ხალხს რაშე მისცეს.

ადამიანი გაურბის უსასყიდლოდ შეთავაზებული რამის მიღებას, იგი ვარაუდობს, რომ სანაცვლოდ მას უფრო ღირებულს წაართმევენ. მაშინაც, როცა იგი რწმუნდება, რომ მას მართლაც უსასყიდლოდ სთავაზობენ რამეს, მან უნდა დასძლიოს უხერხულობა, რასაც ეს სიტუაცია მასში ბუნებრივად იწვევს. თუ მას არა აქვს განცდა, რომ მომავალში ექნება საშუალება გადაიხადოს საჩუქრის საფასური, იგი ამაში თავისი ღირსების გარკვეულ დოზას იხდის. ამ საკითხის შემდგომი განხილვისათვის აქ არა გვაქვს საშუალება, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენს ხალხს, სრულიად ბუნებრივად, აქვს უნდობლობის განწყობა საერთოდ ხელისუფლების მიმართ, შათგან სიკეთეს არ მოელის, გაურბის მას, ეშინია მისი. ეს არც არის გასაკვირი. ეს განწყობა ხალხს ფსიქიკის ღრმად არაცნობიერ შრეში არის ჩანერგილი. სხვათაშორის, ჩვენს ყოფილ ხელმძღვანელობას შეეძლო ცვლილებების შეტანა ხალხის ამ განწყობაში. იგი ხომ ხალხმა თვითონ აირჩია, რაც თითქმის არასოდეს მომხდარა. ხალხის იმედის გაცრუებას ხელისუფლების მიმართ არანაკლები ნგრევა და კატასტროფა მოყვა ხალხის სულიერ სამყაროში. ამ მიმართულებით წარმატებისათვის ხელისუფლების ფორმირებისა და შეცვლის კანონებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. არც ახალი ხელისუფლების საქმიანობაში შეინიშნება ამ მიმართულებით ზრუნვა.

როგორც ჩანს, **არც ოპოზიციას ჰქონდა დემოკრატიული და ეროვნული სახელმწიფოს აშენების, მთლიანი, ჰოლისტური პროგრამა. ეს უკვე ნათლად ჩანს მის დღევანდელ საქმიანობაში.**

4. ოპოზიციაში, რომელიც ყოფილ ხელისუფლებას დაუპირისპირდა, სხვადასხვა ორიენტაციის ხალხი შევიდა. ოპოზიცია გააერთიანა არა შინაგანმა პოზიტიურმა ამოცანებმა, არამედ საერთო მტრის, დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლამ. ვიდრე ყოფილი ხელმძღვანელობის მომხრეთა წინააღმდეგობა საბოლოოდ არ არის დაძლეული, ოპოზიციის შიგნით არსებული შეხედულებების განსხვავებულობას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წინააღმდეგობები მალე აქტუალური გახდება და სულაც არ არის გამორიცხული ახალი კონფლიქტები და ქაოსი.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამ ხალხის გარკვეულ ფენაში დიდი იმედები აღძრა. ასეთი იმედი და ხალხის მხარდაჭერა აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ხალხს ამ მიმართულებით განაწყობს ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდი საერთაშორისო აღიარება. გერმანელ და ამერიკელ ხალხთან ერთად ჩვენც მადლობელი ვართ რუსეთის იმპერიის და კომუნისტური რეჟიმის დანგრევაში მისი კოლოსალური როლის გამო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არც მას აქვს დიდი გამოცდილება დემოკრატიული და ეროვნული სახელმწიფოს შენებაში. ამ საქმეში მას არც ის განწყობები შეუწყობს ხელს, რომლებიც მას და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ. მაგრამ ღმერთმა არ ქნას, რომ ჩაქრეს და გაცრუვდეს ის იმედი, რომელიც ჩვენს ხალხს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაუჩნდა, ეს ჩვენი ერის კატასტროფა იქნებოდა. ეს კი სულ ადვილად შეიძლება მოხდეს, თუ ისიც ცალმხრივი პარტისტული მეთოდით იმუშავებს, ჯერ ეკონომიკისა და მერე ეროვნული დემოკრატიის, სამართლებრივი, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას ეცდება. ხალხს იმედს უღვივებს მისი პიროვნული დინამიზმი, გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობათა დამყარების საქმეში, დიდი ინტუიცია, სიახლის გრძნობა, საერთაშორისო ავტორიტეტი და სხვა. დიდი იმედი გვაქვს, რომ იგი შეიმუშავებს დემოკრატიული და ეროვნული საქართველოს მშენებლობის ერთიან ჰოლისტურ თეორიასა და პოლიტიკას, რომელსაც შეუძლია გამოიყენონოს ჩვენი ქვეყანა მძიმე კრიზისიდან.

ჯერჯერობით კი ჩვენში არ ჩანს საზოგადოებრივი ძალა, რომელიც შეიმუშავებს სახელმწიფოს მშენებლობისა და მართვის მთლიან, ჰოლისტურ პროგრამას. თავის მოტყუება იქნებოდა იმის ფიქრი, რომ იგი ვიღაცას აქვს, მის მიხედვით გვმართავს, ისე რომ ჩვენ არ ვიცით არაფერი ამის შესახებ. **ასეთი კონცეფციისა და პოლიტიკის არსებობა იმას ნიშნავს, რომ ის იცის ხალხმა, მის მიმართ მას დადებითი განწყობა აქვს და მის მიხედვით დაიწყო ცხოვრება.** სანამდე ეს არ მომხდარა, ჩვენ სულ გარდამავალ საფეხურზე ვიქნებით.

მომავალი მძლავრი დესტაბილიზაციისაგან თავის დაღწევისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური მუშაობა იმისათვის, რომ ხელმძღვანელობაში მოვიდეს ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფოს მშენებლობის მთლიანი პროგრამის ჩამოყალიბება.

5. დემოკრატიულ ქვეყნებში ფუნდამენტური ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად ხალხი ხელისუფლებას ირჩევს. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენც უნდა ჩავატაროთ საერთო სახალხო დემოკრატიული არჩევნები. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი არჩევნები საკმარისი არ არის ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად. ხალხი არ იცნობს იმათ, ვისაც სახელმწიფოს შენება და მართვა შეუძლია. დემოკრატიულ ქვეყნებში უკვე არსებობს გარკვეული სოციალური სტრუქტურები, რომლებსაც ჰოლისტურ პროგრამებთან ერთად გაცნობიერებული აქვთ თავისი სპეციფიკური ამოცანები, იციან პროგრამის წერა და თავისი მიზნების ნათლად გამოხატვა, ამავე დროს, ხალხი პოლიტიკურად მომზადებულია, კითხულობს პარტიათა პროგრამებს, აცნობიერებს პარტიათა მიზნებსა და ამოცანებს, ეროვნული და საზოგადოებრივი გონის მიხედვით ირჩევს ქვეყნის განვითარების სასურველ მიმართულებას. ასეთ საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან, როგორც ეს ყველასათვის ნათელია, ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ. ამიტომ ცხადია, ჩვენში არჩევნები იმ ფუნქციას ვერ შეასრულებენ, რომელსაც ისინი დემოკრატიულ ქვეყნებში ასრულებენ. მაგრამ არჩევნები მაინც აუცილებლად უნდა ჩავატაროთ, რადგან ამის გარეშე ჩვენ არავინ მიგვიღებს თავისუფალ ერთა რიგებში. გარდა ამისა, მხოლოდ ასეთი დემოკრატიული ღონისძიებების პროცესში შეიძლება ვისწავლოთ საზოგადოებრივი და დემოკრატიული ცხოვრება.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, დღეს ხალხს ხელისუფლების სათავეში შეუძლია აირჩიოს ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმპერიული და დიქტატორული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ხალხი ასევე კარგად იცნობს კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკებს, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს თავის დარგში, მაგრამ ხალხმა არ იცის თუ ვის შეუძლია ჩვენში სახელმწიფოს შენება და მართვა. ამიტომ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვიდეს ხალხი, რომელსაც შეუძლია ქვეყნის გონივრული მართვა. ეს სრულიად ნათლად გამოჩნდა წინა მრავალპარტიული არჩევნების დროსაც. დღეს თითქმის იგივე ვითარებაში ვართ.

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ცხოვრება თანდათან, ევოლუციური გზით არ ვითარდებოდა, ნორმალური ცხოვრებისათვის მოუმზადებელი აღმოვჩნდით. ამიტომ გვჭირდება გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდში ბუნებრივია, რომ დროებითი ხელისუფლება უნდა გვყავდეს დ მან უნდა მოამზადოს ქვეყანა დემოკრატიული ცხოვრებისათვის. ამ ამოცანის შესრულებისათვის ერთ-ერთი გზა შემდეგში მდგომარეობს: არჩევნების მოწყობამდე დროებითმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ექსპერტების 10-12 ჯგუფი, რომლებიც დაამუშავებენ სახელმწიფოს მართვის კონცეფციას და პროგრამას, რომლის ბაზაზე დროებით ხელისუფლებასა და ასევე არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას, ან პარტიათა ჯგუფს, თავისი პოზიციის შესატყვისად შეეძლება შეადგინოს სახელმწიფოს აგებისა და მართვის კონკრეტული ჰოლისტური პროგრამა. ამ გზით გარდამავალ პერიოდში მომზადდება პირობები, რათა ქვეყანა გადავიდეს გონივრულ და დემოკრატიულ მართვაზე, ხოლო მომავალში, ხალხის პოლიტიკური მომწიფების შემდეგ, შესაძლებელი გახდება, არჩევნების გზით საჭირო ხალხის შერჩევა და ქვეყნის დემოკრატიული მართვა.

საექსპერტო სამსახურის შემოღებით შესაძლებელი გახდება სახელმწიფოს მშენებლობის ძირითადი ასპექტების მეცნიერული და პროფესიული პროგრამის საფუძვლების შექმნა. ამავე დროს ამ ჯგუფებს არ უნდა ჰქონდეს ხელისუფლების სტატუსი, პრივილეგია და პრეტენზია. ასეთ ვითარებაში მათ შესაძლებლობა ექნებათ პროფესიულ-მეცნიერულ დონეზე დაამუშაონ ჩვენი სახელმწიფოს ფორმირებისა და მართვის ძირითადი პრობლემები.

ამრიგად, დემოკრატიული არჩევნების მოწყობამდე, დროებითმა მთავრობამ უნდა შექმნას ექსპერტთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც მოამზადებენ სახელმწიფოს მშენებლობისა და მართვის ჰოლისტური პროგრამის საფუძვლებს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დროებითი, ისე არჩეული ხელისუფლების მიერ თავის რეალური პროგრამის შემუშავების დროს.

6. სწორი ხელმძღვანელობის დროს ოპოზიციური ძალები დადებით გავლენას ახდენენ ხელისუფლების საქმიანობაზე. ამ დროს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გარკვეული სახის თანამშრომლობა ხორციელდება. ასეთი თანამშრომლობა შესაძლებელია, როცა უახლოეს მიზნებს შორის **სხვაობის მიუხედავად მათ საერთო შორეული მიზნები აქვთ.**

(გაგრძელება მე-7 გვ.)

ღია წერილი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

გატონ ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს -

გატონ თენგიზ სიგუას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

გატონო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ბატონო პრემიერ-მინისტრო! ჩვენს მოვალეობად ვთვლით კიდევ ერთხელ გაცნობოთ და მივაპყროთ თქვენი ყურადღება აჭარაში და, კერძოდ, ხულოს რაიონში შექმნილ მეტად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად წლების განმავლობაში მრავალჯერ მივმართეთ როგორც აჭარის ა.რ. ასევე საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებს, მაგრამ უშედეგოდ, ძველ პრობლემებს ახალი ემატება, ხსნა კი არსაით სჩანს. ვიმედრავნებთ, ამჯერად მაინც აღარ დარჩება ჩვენი მიმართვა უყურადღებოდ.

როგორც ცნობილია, 1989 წლის გაზაფხულზე აჭარას, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. დაიღუპნენ ადამიანები, მრავალი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ეროზირებულ და ზვავსაშიშ ზონაში აღმოჩნდა.

სრულიად საქართველოს ყველა კუთხიდან გამოგვიწოდეს დახმარების ხელი, საქართველოს 40-ზე მეტმა რაიონმა მიიღო და ჩაისახლა ორიათასხუთასამდე ოჯახი ხულოს რაიონიდან.

მოსახლეობის დასახმარებლად და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მაშინდელმა ხელისუფლებამაც გამოყო მატერიალური დახმარება. ხულოს რაიონს გამოეყო 4,3 მლნ. მანეთი. (მაშინდელი კურსით რაიონისათვის სოლიდური თანხა) სწორედ აქ იჩინა ჭირმა თავი და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დამოსახლეობის დასახმარებლად გამოყოფილი სახსრების დაკაცება-დანაგვების, თვალნათლივ გამოაშკარავდა რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პარატში, ყველა ორგანიზაციისთუ განყოფილების დონეზე ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოკალათებული კომუნისტური რეჟიმის დროის აღზევებული, ბიუროკრატი, კორუმპირებული პირების სახე. ამით მათ მთლიანად დაკარგეს რაიონის მოსახლეობის თვალში ყოველგვარი მორალურ-ზნეობრივი უფლება ხელისუფლების ორგანოებში მუშაობისა.

მოყოლებული 1989 წლიდან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოსახლეობის მოთხოვნით რაიონში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ არა ერთხელ იქნა დაყენებული რადიკალური საკადრო ცვლილებების გატარების აუცილებლობის საკითხი.

1991 წლის ზაფხულში ყოფილ პრეზიდენტ ბ-ნ ზვიად გამსახურდიასა და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ აბაშიძესთან შეხვედრისას, მოსახლეობამ სხვა საკითხებთან ერთად პირველ რიგში სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება და უკვე მაფიად ჩამოყალიბებული ხელმძღვანელების გადაყენება მოითხოვა. მოთხოვნა არ შესრულებულა - პირიქით კი მოხდა. ბ-ნ აბაშიძის რეკომენდაციით რაიონის პირველ კაცებად ერთი მეორის მიყოლებით ნაკომუნისტარი ბიუროკრატები დასხდნენ (ასე მოხდა თითქმის მთელ აჭარაში).

ასეთმა ანტიხალხურმა და ანტიეროვნულმა გადაწყვეტილებებმა, რამაც მაფია ახალ „ეროვნულ“ რანგში დაამკვიდრა, აღაშფოთა მოსახლეობა და თავის მხრივ გამოიწვია „მრგვალ მაგიდაში“ შემავალი რაიონული ორგანიზაციების „მრგვალი ხელისუფლებისაგან“ გამიჯვნა. გადაწყვეტილება სავსებით სწორი აღმოჩნდა. რაც შემდგომმა მოვლენებმაც დადასტურა. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ ერთი ფაქტი: 1991 წლის ივლისის თვეში, ყოფილ პრეზიდენტ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას დიქტატორული ზემოქმედებით, არადემოკრატიული გზით, კონსტიტუციის უხეში დარღვევით აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული (დანიშნული) იქნა ბ-ნი აბაშიძე.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა მიტინგებმა და აქციებმა შედეგი არ გამოიღო. ბ-ნი აბაშიძის რეკომენდაციით რაიონში კვლავ დაინიშნა პრეფექტად ბ-ნი თემურ ქათამაძე (ყოფილი პარტიის რაიკომის განყოფილების გამგე, სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრების დაკაცება-დანაგვების დროს შინაგან საშშეთა განყოფილების უფროსი, შემდგომ აღნიშნული თანამდებობიდან, ალბათ თავისივე ცოდვების შიშით, საკუთარი სურვილით გადამდგარი).

1991 წლის ნოემბრის თვეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ბ-ნი აბაშიძის და ბ-ნი თ.ქათამაძის წინაშე კვლავ დაისვა ალტერნატიული შერჩევის საფუძველზე კადრების შეცვლის საკითხი. ბ-ნმა თ.ქათამაძემ დასდო პირობა, რომ ერთი თვის ვადაში აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი იქნებოდა. მან ეს ვერ განახორციელა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ განყოფილების რიგმა ხელმძღვანელებმა არაორაზროვნად განუცხადეს: ჯერ გადამდგარიყვნენ თვითონ პრეფექტი და მისი მოადგილეები, რომლებიც სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხების დაკაცება-დანიავების თანამონაწილე იყვნენ და შემდგომ თვითონაც გადადგებოდნენ.

რაიონის ხელმძღვანელების სავარძლებისათვის ურთიერთ ჭიდლში შეიქმნა ხელისუფლების ვაკუუმი, რაიონში დამკვიდრდა განუკითხაობა და უკონტროლობა. მოსახლეობა დარჩა უყურადღებოდ. ზამთრის პირობებში არ იწმენდებოდა საავტომობილო გზები, შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა. უგზოობის გამო მოსახლეობა ვერ მარაგდებოდა პროდუქტებითა და პირველადი მოთხოვნილების საქონლით. შეგნებულად ეწყობოდა ხელი საქონლის ბაზარზე გაყიდვას, მისი გარკვეული ნაწილი კი გადიოდა თურქეთის ბაზრებზე.

რაიონში 1991 წლის 31 მარტიდან დღემდე არ შექმნილა ადგილობრივი მართვის ორგანო, რაიონის საკრებულო. რაიონს განაგებს აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს 1992 წლის 11 თებერვლის დადგენილების საფუძველზე დანშნული მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ყოფილი პრეფექტი, ბ-ნი თ.ქათამაძე. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს პრეფექტურის ინსტიტუტის შენიღბული ფორმით შენარჩუნებას. იგი არის ანტიკონსტიტუციური, შეიცავს პრეზიდიუმის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებას და პრინციპულად ეწინააღმდეგება თვით ყოფილი სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის 10 ივნისისა და 6 თებერვლის დადგენილების არსს სასოფლო და რაიონული საკრებულოების შექმნისა და მათზე მმართველობის გადაცემის შესახებ, მმართველობის დემოკრატიული ფორმების დასანერგად.

დაინიშნა რა სრულუფლებიან წარმომადგენლად, თ.ქათამაძემ განაცხადა, რომ მას კანონით (?!) მინიჭებული აქვს უფრო მეტი უფლებები. მან სრული იგნორირება გაუკეთა ტერიტორიული საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას სასოფლო საკრებულოებში სესიების დროულად ჩატარების შესახებ. სამჯერ შეაცვლევინა სესიების ჩატარების გრაფიკი. შემდეგ თვითონვე დაარღვია ეს გრაფიკი, კომისიაზე შეუთანხმებლად ნიშნავდა სესიებს და თვითონვე ატარებდა ტერიტორიული კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის ან წევრების დაუსწრებლად. დავიმოწმებთ ერთ ფაქტს: სოფელ რიყეთის საკრებულოში საარჩევნო კანონის სრული დაცვით ჩატარებული სესია, ვინაიდან მისთვის სასურველი პირები არ იქნენ არჩეული, მან განმეორებით ჩაატარა, თუმცა დეპუტატებს გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ და პირველი სესიის შედეგები უცვლელი დარჩა.

მიუხედავად აქტიური მცდელობისა ბ-ნი თ.ქათამაძე მინც ვერ დარწმუნდა, რომ რაიონის საკრებულოში წარმომადგენლად არჩეული იქნენ მისი ნების აღმსრულებელი დეპუტატები. ამიტომ იგი შეგნებულად აფერხებს და ხელს უშლის რაიონის საკრებულოს ჩამოყალიბებას, ვინაიდან დემოკრატიულად არჩეულ ორგანოში იგი ხედავს ძალას, რომელიც შეიძლება წინ აღუდგეს მის მიერ ერთპიროვნულად მიღებულ მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების განხორციელებას, ფარდას ახდის მის ბნელ საქმიანობას.

ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან გმომდინარე, არ გაგიჭირდება გავაკეთოთ დასკვნა, თუ საიდან იღებს სათავეს ბოროტება. იგი გამომდინარეობს გაქსახურდიასეული რეჟიმის აჭრელი მიკრომოდელიდან, რომელიც აბაშიძემ შექმნა. დროებითი მთავრობა რატომღაც თავს იკავებს აჭარაში შემორჩენილი ხელისუფლების შეფასებაზე ისევე, როგორც აჭარის უზენაესმა საბჭომ დღემდე არ მისცა ოფიციალური შეფასება თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას და არ გამოხატა თავისი პოზიცია დროებით მთავრობასთან, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფის მემორანდუმს „ქვეყანა ერთ კაცს არ უნდა ვანაცვალოთ“. (საქართველოს რესპუბლიკა №47 19.03.92წ.) სადაც აღნიშნულია: „აჭარაში ა. აბაშიძის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის შედეგად პარალიზებულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. დეპუტატთა დიდი ჯგუფის მიერ უკანონოდ მინიჭებულ უფლებებზე უარის თქმა, ანტიკონსტიტუციური დადგენილებების მიღება და მმართველობის არაკონსტიტუციური ორგანოს შექმნა ადასტურებს იმას, რომ აჭარის ა.რ. ფაქტობრივად გაუქმებულია კონსტიტუციის მოქმედება და დამხობილია კონსტიტუციური წყობილება. ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმი. აბაშიძის მიერ მოხდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზურპაცია, რაც ავტორიტარული რეჟიმის შენარჩუნებისაკენ არის მიმართული. აჭარის მოსახლეობაზეც ცეცხლსასროლი იარაღის გაცემა ერთგულების ნიშნით, რამაც კიდევ ერთხელ დაძაბა აჭარაში კრიმინოგენური სიტუაცია, გვაროვნული ნათესაური კლანის შექმნა და მისი ძირითად საყრდენად გადაქცევა. აჭარის ტერიტორია ჯარეთ მოქმედი ყველა ძალის, მან „ეროვნული“ ვნული გვარდიის „ჯარე ძალად გამოცხადება“. მაშინ, როდესაც ყოფილი პრეზიდენტის რეჟიმის დროს რაიონის სასოფლო საკრებულოების დროს რაიონის სასოფლო საკრებულოების გამგებლებს სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ, თუკი ვერ უზრუნველყოფდნენ ახალგაზრდების “ ეროვნულ გვარდიაში“ გაწვევას. ჩვენის მხრივ კი დავამატებდით: აჭარის მოსახლეობაში თურქოფილური განწყობილების შექმნის მცდელობას. მაგალითისათვის გავიხსენოთ გასული წლის აპრილის ამბები ბათუმში. ჩვენ ვიზიარებთ ბ-ნი მიხეილ მახარაძის აზრს პუბლიკაციაში „კუკუმალულობანას თამაშის დრო აღარაა“ (გაზეთ „საქართველოს“ №8 (64) 29.02.92წ.), სადაც ის აღნიშნავს: „ინტერვიუში აბაშიძემ ახსენა გასული წლის აპრილის ამბები და მას დაუკავშირა გარკვეული ქმედება, რამაც მისი სიტყვებით სტაბილიზაცია მოიტანა აჭარაში, ეს ის საკითხია, რომელიც აუცილებლად განსჯას საჭიროებს და როცა ხელმძღვანელი თავის წამოწყებულ საქმეს ჯერ ხალხს გადააბრალებს, შემდეგ კი ექსცესების ჩახშობას თვითონ დაიბრალებს და ამით გარკვეული პოლიტიკური დივიდენდის შეძენას ცდილობს“.

ბატონო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეე, ბატონო პრემიერ-მინისტრო! ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დღევანდელ რთულ ვითარებაში, როდესაც ერი გახლეჩის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ყველა ქართველს, საქართველოს ყველა კუთხის შვილს გვმართებს ავმაღლდეთ სულიერად, არ დავტოვოთ გულში მცირედი ხინჯიც კუთხურობისა და გათიშულობისაკენ მიმართული, წრფელი გულით მივესალმოთ ერთმანეთს. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივაღწიოთ სიმშვიდეს, რაც მოგვცემს საშუალებას საერთო ძალებით შევეჭიდოთ და გადავწყვიტოთ სხვა პრობლემები, ჩვენი წერილის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, სწორედ ამიტომ გვინდა ღრმად ჩავიხედოთ ერთმანეთის სულებში, შევიგრძნოთ სატკივარი მოყვასისა, დროზე მოუსვამ ძალამო ერთმანეთს იმ წყლულოვანი იარების მოსარჩენად, რაც ასე მომრავლდა სრულიად საქართველოს სხეულზე.

დღეს აჭარაში სიმშვიდეა, ყოველ შემთხვევაში ასე მოჩანს გარეგნულად, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ღრმად თუ ჩახედავთ მის სხეულში, ფარულ სიმსივნეს აღმოაჩენთ და თუ დროზე არ გამოჩნდა მკურნალი, ვშიშობთ, იგი ავთვისებად სიმსივნედ არ გადაიქცეს, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში არა თუ ძალამო, ჭირურგიული ჩარევაც ვეღარ შველის.

ხულოს რაიონში არსებული
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ორგანიზაციების წარმომადგენლები

ერისა და დემოკრატიის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები საქართველოში

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ჩვენში რადგან ყოველ პარტიას პროგრამაში საბოლოო მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობა აქვს გამოცხადებული, მათ შორის თითქოს სრულიად შესაძლებელი უნდა იყოს თანამშრომლობა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი საერთო შორეული მიზნის გამოყენება ოპოზიციასთან თანამშრომლობის საფუძვლად მხოლოდ კანონიერ, ლეგიტიმირებულ ხელისუფლებას შეუძლია, რაც ჩვენმა ყოფილმა ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა. ოპოზიციური ძალები მხოლოდ ასეთი შორეული, საერთო მიზნების საფუძველზე ცხადია არ ითანამშრომლებენ დროებით, არალეგიტიმური ხელისუფლებასთან, რომელიც სათავეში ძალის გამოყენებით მოვიდა. დროებითი ასეთი ხელისუფლება იმ შემთხვევაში შეძლებს ოპოზიციური ძალების ჩართვას ქვეყნის მმართველობაში, თუ იგი გამონახავს ყველასათვის მისაღებ **საერთო უახლოეს ეროვნულ მიზანს**, რომლის სამსახურზე უარის თქმა მკვეთრად დასცემდა ოპოზიციის პრესტიჟს ხალხის თვალში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ოპოზიციურ ეროვნულ ძალებთან თანამშრომლობის გარეშე ვერ შესძლებს დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებას და მართვას. ქვეყნის მართვაში ოპოზიციური ძალების ჩართვისათვის ხელისუფლებამ უნდა დასახოს ერის არსებითი უახლესი ამოცანა.

7. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, დროებითმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო ჩვენი უახლოესი საერთო მიზნის ნათლად დასახვა და მის განხორციელებაში ოპოზიციის და ფართო საზოგადოების ჩართვა. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი ხალხი დიდი იმედით შეჰყურებს დროებით ხელისუფლებას. ხალხი ვერ ხედავს სხვა ძალას, რომელსაც შეუძლია გვიხსნას კრიზისისგან. ის ზოგადი და დაუკონკრეტებელი იმედები, რითაც ხალხი დღეს ცხოვრობს, თუ შესუსტდა და დაიკარგა, ქაოსი და კატასტროფა გარდუვალია.

დღეს დროებითი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა უგუნურობაა. სხვა ძალა მართლაც არა ჩანს, რომელიც გამოგვიყვანს კრიზისიდან. მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს რაში დაეხმაროს ხელისუფლებას. ხელისუფლება კი ხალხს არაფერს არ ეუბნება. ხალხისაგან იგი თუ მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ მან ხელი არ შეუშალოს ხელისუფლებას თავის საქმიანობაში, ამ გზით შეუძლებელია წარმატების მიღწევა. ამ მეთოდით ქვეყნის მართვა კომუნისტურ რეჟიმში იყო შესაძლებელი.

ეროვნულ მოძრაობაში თავის დროზე საზოგადოების ფართო წრე ჩაერთო, მაგრამ დღეს იგი ფაქტიურად დაუსაქმებელია. თუ მათ არ გამოვუნახავთ ფუნქციას, არ ჩავრთავთ სახელმწიფოს მშენებლობაში, ძველი მეთოდებით ხელისუფლების მხოლოდ ზედა ფენაში მუშაობით ვერ ავაშენებთ დემოკრატიულ და ეროვნულ სახელმწიფოს.

8. ბოლოს გვინდა დავარღვიოთ ერთერთი ფსიქოლოგიური მითი, რომელიც მყარად არის ფესვგადგმული საზოგადოების ფსიქიკაში.

ჩვენ, ჩვეულებრივად, გარკვეული სოციალური ჯგუფი და მისი პოზიციის დამცველი ადამიანი წარმოგვიდგენია, როგორც ინტელექტუალური წესებით მომქმედი არსება. ჩვენ გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ თუ სხვა პოზიციაზე მდგომ ადამიანებს დავუსაბუთებთ ჩვენი პოზიციის მართებულობას, ისინი გამოიცვლიან თავის პოზიციას, მიიღებენ ჩვენს შეხედულებას. მესაკუთხეობის მეცნიერებაში კი ცნობილია, რომ ადამიანის პოზიციის ჩამოყალიბებაზე და შეცვლაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს ინტელექტუალური საბუთები. ამიტომ არის, რომ უკვე მოსაბეზრებლად განიცდის ხალხი ჩვენი კოლეგების მოწოდებებს რადიოში, ტელევიზიაში და პრესაში, რომ ეროვნული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ხალხმა უნდა გააცნობიეროს კონსოლიდაციის აუცილებლობა. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ დაპირისპირებასა და კონფლიქტებს დაღუპვისაკენ მივყავართ და სხვა. დადგენილია, რომ ინტელექტი ადამიანებს თავის პოზიციის განმტკიცებაში და მოწინააღმდეგის პოზიციის უარყოფაში ეხმარება. ინტელექტს თითქმის არავითარი წვლილი არ შეაქვს მოწინააღმდეგეთა პოზიციის შეცვლაში. ამიტომაა, რომ კონფლიქტის მოგვარების მრავალ წესებს შორის პირველი ადგილი უკავია მოთხოვნას, კონფლიქტური საკითხების გარკვევა არ დავიწყოთ იმისი გარკვევით, თუ ვინაა მართალი და ვინ არის მტყუანი. ასეთ შემხთვევაში მოკამათეები დისკუსიის შემდეგ კიდევ უფრო დაპირისპირებული ხდებიან.

დგება საკითხი, თუ არა ინტელექტი, მაშ რა აყალიბებს და ცვლის პოზიციებს? განწყობის თეორიის ერთერთ დამსახურებად ითვლება იმის ჩვენება, რომ ადამიანის პოზიციებზე მისი მოთხოვნილებები, მისი ჯგუფების ორიენტაციები, მისთვის მნიშვნელოვანი პიროვნებების პოზიციები და საკუთარი შეხედულებათა სისტემა მოქმედებს. ამ ფაქტორებისა და განწყობების კანონების გავლენით ხდება ადამიანის პოზიციების ფორმირება და გარკვეული მიმართულებით შეცვლა. განწყობის კანონებიდან აღსანიშნავია: თავსებადობის, კონტრასტის, დამატებითობის, ასიმილაციის და სხვა. მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სოციალურ პროცესებზე გავლენის მოხდენა. სამწუხაროდ, ჩვენი თითქმის ყოველი ხელისუფლება ამ კანონების გათვალისწინების გარეშე ატარებდა თავის პოლიტიკას, რასაც ყოველთვის მძიმე შედეგები მოჰქონდა. არც ძალადობა და არც ინტელექტუალური საბუთები არ ცვლის ხალხისა და საზოგადოების პოზიციებს, განწყობებს. განწყობების კანონების მიხედვით ხალხთან ურთიერთობაში შესვლა და საერთო საქმიანობათა განხორციელება არის კონფლიქტური მდგომარეობიდან გამოსვლის რეალური საშუალება. კონკრეტული პროგრამების შედგენა წინასწარ საგანგებო მუშაობას მოითხოვს.

დემოკრატიული და ეროვნული სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია ამ პროცესში ეროვნული ენერგიის ჩართვის გარეშე. კომუნისტური რეჟიმის დროს სუკ-ის ჯარის, მილიციის გამოყენებით ხდებოდა ხალხის გამორთვა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, მისი აქტივობის ჩახშობა. დღეს ამ გზით ქვეყნის მართვა შეუძლებელია. დღეს ხელისუფლებას სახელმწიფოს მშენებლობაში და მართვაში ეროვნული ძალების დასაქმება ევალება, რაშიც საზოგადოება ნებაყოფლობით უნდა ჩაერთოს. ამიტომ, ხალხმა ნათლად უნდა იცოდეს რას აკეთებს მისი ხელისუფლება და რა უნდა გააკეთოს მან თვითონ. მოქმედების ასეთი პროგრამა ადამიანთა ორიენტაციებისა და განწყობის ფორმირების კანონიერებათა გათვალისწინებით უნდა შეიქმნას.

ნათელი უახლოესი ამოცანებისა და ერის მართვის კანონზომიერების გათვალისწინებით დროებით ხელისუფლებას შეუძლია აწარმოოს სწორი და მისაღები პოლიტიკა, რომლის რეალიზაციის პროცესში ხალხმა შეიძლება ითანამშრომლოს მასთან. ასეთ ვითარებაში ხალხი შეიძლება ჩაერთოს ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ბედნიერია ერი, როცა თავის ხელისუფლებასთან თანამშრომლობს.

მწყრალები ხეზე

ბაზონ რუსლან მიქაბერიძის „პროდიების“ პასუხად „მაუღლო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“.

*

ფუნაგორიას ვერა ვფლობ, არა ვარ ამგდარია
ბედშავს არ დამყვა უნარი ხელოვნებისა მდარია
ვერც „ლექსი მეძებს“ ზოგსავით, არ გამითენდა
დარია
უნიჭო მსახიობიც ვარ, სხვებთან რა შესადარია
ვერც პატრიოტიზმს ვთამაშობ, ვერც გავხდი
ამათ დარია
და არც საჯაროდ არა ვარ ქილიკად გადმომდგარია.
კარავში უშიშშილებელს ვერ ვუწყი, ვინ სად არია,
თურმე უფლებაც არა მაქვს, ვთქვა ხალხი ვინ
გადარია
არც რა მიმალავს სოფლისთვის, ცრუ მე არ შემიფარია,
რაც ადრე მითქვამს, მას ვამბობ, ეს არის ჩემი ფარია
ბრალდებად ამას მიყენებთ? უცნობს მომიგდეთ
კარია,
ახლა კი ყური მათხოვეთ, ხამს დარჩეთ იავარია.
კარგად გარჩევდით ყოველთვის, ვინ არის რისი დარია,
ვინც რომ ივერთა აზრებში თავისი ხელი დარია,
ან ჩემი ქვეყნის ფერების ცისარტყელები არია,
ქარების ბარიკადებზე ჩამოხსნა შავი კარია.
„ნამოღვაწარი“ ჭრაქების რომ არ ჩაგიქრეთ ალია
ისღა იფიქრეთ, სიმრუდით გააქროთ სხვისი კვარია.
ჩემი დაცემის მოსურნეთ ფეხზე ვიწვევდი მდგარია,
უკნიდან შემომიარეთ, ლექსითა მნახეთ მკვდარია.
დაცინვა, ზურგში ქილიკი, ივერთ საყრდენი დგარია
ზოგიც მამულის შარაზე, ამითა, გადმომდგარია.
სიცილი კაცსა ვერ მოკლავს, ისევ ჩვენთანა მდგარია,
ვაგლახ, რომ ასე არ ხდება, ვინც სიცილს ბოღმა გარია.
ხარხარს ტირილი თან მოსდევს, არ შეეცვლება მხარია,
ტირილს გოდება მოჰყვება, უმრთელებელი ბზარია
ქუჩა თეატრად აქციეთ, ქალაქს ავარდა ალია
გითხარით, არა ისმინეთ, სულ ამღვრიეთ წყალია.
სამშობლოს გადარჩენისკენ გაქვთ განდიდების მანია
პოპულარობას მისდიეთ, ტაშით მოსული ბანგია,
სანახაობას მიჩვეულთ უკურნებელი მანკია
„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“ თქვენი „ნათელი კვალია“.
როლებიც აღებულ გქონდათ, ფრიდონ, ავთანდილ, ტარია,
სახელნიც იგივენი გაქვთ, ოღონდ გონება სხვანია
იხმეთ დავითის საჭურჭლე და გორგასლის ხმალია
აბჯარი მუყაოს შეგრჩათ და ქაღალდისა ფარია
ნესტანი ქაჯთა გაუშვეს, სხვაზე გეჭირათ თვალია
ქაჯების ნაცვლად წააკლთ პირტიტველანი ყმანია
ატირდა ვეფხის დედაი, მას აუცრემლეთ თვალია,
თქვენ „პატრიოტებში“ იყურჩეთ, ჩვენი არ არის სანია.
ახლა ვაუკაცთა ლანდებით გსურთ დაიშვენოთ მხარია,
საიდან, როგორ მოვედით, კვლავ აურიოთ კვალია,
ნაცარქექიას ნაცარით ხალხს დაუბინდოთ თვალია
და მის გონებას ცდუნებულს, მოსდოთ ახალი რკალია.
რაც რომ სიგრძე გაქვთ, ის უნდა, თქვენ გაგიხადოთ განია,
მას, ვინც ქვეყანა დაღუპა, თქვენ არ მიეცით ბანია?
მის გვერდზე გამოსაჩენად, ტრიბუნებზე ხართ მდგარია
მაშინ ვერაფერს ხედავდით? გაწყობდათ მისი გვარია!
იცოდით, ენა ჩაგდეთ, სამწყსო გაყიდეთ ნარდშია
ზღაპრებსა თხზავდით მასზედა, გამოიყვანეთ ლარშია
გუნდრუკს უკმევდით ფეხებთან, შესაციციენებდით თვალშია
მისით ხართ ნაპატივები, გაცეკვათ მის თავლაშია,
სადაც ბორგავდა სიცრუით ნაპატიები რაშია
გრგვინავს ფორუმში „ერთობის“ ფრთამოტეხილი მარშია
ეროვნულ საქმეს თავშივე სიყალბეს ჰქონდა არშია
ერი თქვენ გადმოიბირეთ, და მოუმართეთ ტაშია
ახლა ბედშავთა დასცინით, აჯობეთ ხელის კვრაშია,
იქნებ სთქვათ, წვლილი არა გაქვთ მათსავე დამოძღვრაშია?
ყველანი ერთად იყავით ერთურთის ამოსრაშია!
გავბედე, სარკე დაგიდგით, ისარი მტყორცნეთ ფრთაშია.
ძლივს ჩამოშორდით მაშინღა, როს ტლინკი მოგხვდათ
ყბაშია
თქვენს, ორგზის ნახეთ ფაშატსა, ვერ დაეჭირეთ ალია,
შეკრბით კონგრესში რჩეულნი, აზრი ვერ შობეთ გრამია
ვეღარც ეუვანი შეაბით და ვერ აღვირი თალხია.
სიტყვა არ მინდა დავტოვო უთქმელი, სამდურავია
მიწყინეთ, ბოლომდე გეტყვით, რაც კი მაქვს ნაფიქრალია,
ამიტომ ვეღარ ივარგეთ და დაგიგუბდათ წყალია,
რომ ხართ სიცრუის ზიარნი და მისი უტყვი ძმანია
ეს თქვენ მოწმინდეთ ნამუსი და წარადგინეთ ხალხშია,
მერე ატეხეთ ხმაური, ზარები და განგაშია?
ახლა, აქ მეტრაბახებით, მე მიხსნით საქმე რაშია?
კიდევ კარგი, რომ „ვერ მოვხვდი“ თქვენსა „ეროვნულ“
ფანდშია
ქუჩას მოედო ორღობის „გავრო'შებისა“ კალია
არაფრისაგან გამრავლდა უდღეურ მხსნელთა ჯარია
სახლებში ვეღარ მიბრუნდნენ,ვეღარ მიაგნეს კარია
მხსნელთაგან ვინც გადაგვარჩენს, უნდა დავკიდოთ
ჯვარია.
გახელდა ბნელში ნამყოფი, გამო'შვებული ხარია
დუუმორეული დაეძებს, ადრე ვინ გახსნა გალია
უკან გამოჰყვა ქოთქოთით, ზედ წასაკლავი ვარია
ვის გამოც ყოველი მოხდა, ვიცი მე მათი გვარია!
სირაქლემასა ვემსგავსოთ, ვჩქმალოთ სათავე მცდარია,
„ქრისტესმიერი“ გმირის და მისი დედის კრახია!
თქვენს გამო ქართველობითა, საით გამოვყო თავია?
კიდევ საკბილოს დაეძებთ? იქით გაგირბით თვალია!
ვინ არის უფრო მდაბალი, ამპარტავანი ბაქია,
თუ მისი ფეხის მექისე, გამოგდებული ლაქია?
ახლა ხომ ვიცით ღვინოში სუფთა წყალი ვინ გარია,
სიკვდილმისჯილთა რიგებში კომედიანტნი ჩარია,
თოფ-ზარბაზნების გრიალში, აბა, ვის გაუხარია
ახლა ჩასძახეთ საფლავებს, შეგინდნონ, სულთა ვალია
ვინც ტაშს გიკრავდათ, დედების ძუძუს დაასხეს შხამია
პატიებას მათ არვინ სთხოვს, ყველა აბრამის კრავია
ყველას წინაშე მუხლს ვიყრი, სადაც ერი და ჯარია,
ვერ გაგიმართლეთ დედანო, შემინდეთ, ჩემი ბრალია.
გამლანძღონ სიმართლისათვის, ესეც ხომ, ჩემი ვალია,
პასუხს მეტს ვეღარ მიიღებთ, თუნდ მომიქნიოთ რვალია.
გმირთა ლანდებზე საღამოს ჯდება მტირალი სვავია
კვლავ ისმის შეშლილთ ხორხოცი და უმადურთა ზარია.

გაიოზ ერაძე

კონკურსი „ქართლის ცხოვრების“ ცოდნაში

ერთ წელზე მეტია, რაც დაეფუძნა ქართული ეროვნული თვითშეცნობის ასოციაცია. პროგრამისა და წესდების პროექტის გამოქვეყნების შემდეგ (30.X.90წ.) რამდენიმე მეტად საყურადღებო გამოხმაურება დაისტამბა ასოციაციის მიზანდასახულებაზე. შემდგომ საქართველოში ისე გამწვავდა პოლიტიკური ვითარება, რომ ასოციაციას არავითარი საშუალება არ მიეცა თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებზე ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი. ამ მიზნებიდან დღეს მხოლოდ ერთს გავუმხელთ საზოგადოებას:

ქართული ეროვნული თვითშეცნობის ასოციაციას მიაჩნია, რომ ქართველი მოსწავლე ახალგაზრდების ეროვნული თვითშეგნების ამაღლების მიზნით საუკეთესო საშუალება იქნება თუკი ჩავატარებთ კონკურსს „ქართლის ცხოვრების“ ცოდნაში. და თუკი საერთოდ დავამკვიდრებთ ასეთი კონკურსების ტრადიციას!

რუსთა თითქმის ორასწლიანი ბატონობის შედეგად ძალზე შეილახა ეროვნული ღირსების გრძნობა. დამპყრობელი ამ ხნის განმავლობაში მეთოდურად და თანმიმდევრულად ახორციელებდა ქართველი ერის გადაგვარების პროცესს. ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა, - დიდმა მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა - დროულად შეამჩნიეს საგანგაშო ტენდენცია და დროულადვე დაარისხეს სიფხიზლის ზარები. ასევე ფხიზლად დარაჯობდნენ და დარაჯობენ ქართულ ეროვნულ ღირსებას ჩვენს დროში თანამედროვე მწერლები და მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები.

მაგრამ სახელმწიფო მმართველობის სადავეები იყო მტრის ხელთ და იგი მაქსიმალური ძალისხმევით ესწრაფვოდა თავისი მიზნის აღსრულებას, გასაქანს არ აძლევდა ქართველ ხალხს, ცხოვრების ისეთ პირობებს უქმნიდა, რომ დაერღვია მისი წონასწორობა, ამოეგდო ნორმალური, ქართული ყოფის კალაპოტებიდან და მოექცია ერთფეროვანი, უსახური ცხოვრების სტილში. მტერი შეებრძოლა ჩვენს საუკუნოვან ტრადიციებს, ჩვევებს, ჩვეულებებს... ამ გზით სურდა ქართული-ეროვნული ხასიათის წაშლა.

რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია. მაგრამ, სამაგიეროდ ბევრი რამ დაგვიზიანა, ღირსების გრძნობის შემკრებელ-შემანივთებელი ბევრი თვისება დაგვაკარგვინა, გადაგვიგვარა, გაგვიფერმკრთალა.

ჩვენ თუ სრულად არა, ძირითადად მაინც გვაქვს გაზომილი დანაკარგი.

დღეს, როდესაც გვყავს ეროვნული მთავრობა, რომელიც იბრძვის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის ჩვენ რეალობად გვესახება ეროვნული ღირსების აღდგენისათვის მეცადინეობა.

ბევრს არ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა არის „ქართლის ცხოვრება“ ჩვენთვის. მისი მნიშვნელობა კარგად აქვს შეფასებული ქართველ ერს. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ქართლის ცხოვრება“ არის არამარტო ისტორია ქართველი ერისა, არამედ სახეც ჩვენი - ქართველი ხალხის სახე. მისი შესწავლა-შეცნობით, ჩვენ შევიცნობთ ჩვენს მომავალს, რადგან გვეცოდინება რა წიაღიდან ვართ შობილნი და ამდენად გვეცოდინება, რა მიმართულებით უნდა აიყაროს ტოტები ქართველი ერის ცხოვრებამ. მისი შესწავლით ჩვენ გვეცოდინება მთელი ისტორიული პროცესი, რომელმაც შეუძლებელია არ გვაიძულოს მტრის მიერ დღეს ასე სავალალოდ შელახული ეროვნული გრძნობის აღორძინება.

ასეთი დიდმნიშვნელოვანი კონკურსის გამოცდილება დღევანდელ მსოფლიოს აქვს. მაგალითად, იერუსალიმში ტარდება ხოლმე კონკურსი ბიბლიის ცოდნაში ოც წლამდე ახალგაზრდათა შორის. ეს მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებაა და ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ნათელი უნდა იყოს მისი მნიშვნელობა.

ასევე დიდმნიშვნელოვანია ჩვენთვის (ცხადია, საქართველოს მასშტაბით) კონკურსი „ქართლის ცხოვრების“ ცოდნაში, რომლის გამართვაზეც ფიქრობს ეროვნული თვითშეცნობის ასოციაცია.

კონკურსი, ცხადია, უნდა მომზადდეს ისტორიის ინსტიტუტისა და განათლების სამინისტროს უშუალო მონაწილეობით და ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით.

დაწვრილებით ცნობებს კონკურსის პირობების შესახებ ცოტა მოგვიანებით მოგაწვდით.

ქართული ეროვნული თვითშეცნობის
ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი:
მანანა ახმეტელი, რევაზ ბარამიძე,
ლევან გრეგაძე, დავით გეგეშიძე,
ვახტანგ გურგენიძე, ჯანსულ კორძაია,
ზოთა ლომსაძე, სპარტაკ მხეიძე,
თეიმურაზ მაღლაფერიძე,
გიორგი ნიჟარაძე, ჯანსულ ღვინჯილია,
თემურ ღლონტი, თენგიზ ჩხაიძე,
თენგიზ ჩხეიძე.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გაუწყებთ, რომ ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 20 აპრილამდე.

* * *

18 აპრილს დღის 12 საათზე გაიმართება თავდაცვის სამინისტროს პირველი პრესკონფერენცია რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

პრესკონფერენცია გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შენობაში. **მისამართი: პ.ინგოროყვას ქუჩა,7.**

გეძლევათ შესაძლებლობა
დააფუძნოთ თქვენი ბანკი!

ქ.თბილისში იქმნება საქართველოში ყველაზე მსხვილი სააქციო კომერციული ბანკი

კერძობანკი

ბანკის დამფუძნებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე ან არასახელმწიფო სექტორის ნებისმიერი საწარმო თუ შეიძენს ერთ აქციას მაინც, რომლის ნომინალური ღირებულება 50 ათასი მანეთია. შეძენილი ერთი აქცია დამფუძნებელს აძლევს ერთი ხმის უფლებას.

კერძობანკი: აიძულებს თქვენს მიერ ბანკის დასაფუძნებლად ჩადებულ უკიდურესობამდე გაუფასურებულ საბჭოთა მანეთს „იცოცხლოს“, უფრო მეტიც „იმუშაოს“ მაქსიმალური უკუგებით.

კერძობანკი იქნება: თქვენი და თქვენი ოჯახის, თქვენი შთამომავლობის ბანკი; თქვენი კომერციული საქმიანობის ღირსეული პარტნიორი; თქვენი საქმიანობის გარანტირებული მესაიდუმლე.

კერძობანკში, წინასწარ გაანგარიშებით ბანკის სპეციფიური სტატუსიდან და საქმიანობის პირობებიდან გამომდინარე, დამფუძნებლების დივიდენდის ოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 52 პროცენტს.

გირჩევთ იჩქაროთ, რადგან ბანკის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია.

გელოდებით ყოველ სამუშაო დღეს **11-დან 15 საათამდე მისამართზე: 380086, ქ.თბილისი, სანდრო ეულის ქ. № 1.** (ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს).

საკონტაქტო ტელეფონი: **31-17-85, 93-49-66**

ყოველ ხუთშაბათს, 15 საათზე შესაძლებლობა გექნებათ შეხვდეთ საინიციატივო ჯგუფს სრული შემადგენლობით.

საინიციატივო ჯგუფი

ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი